შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4, აპრილი, 2011.

ქრისტე აღსდგა!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს... გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს...

აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით.აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან.განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება.აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია.განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკევობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა.ოთხივე სახარების თანახმად, ღმრთისმშობლისგან უბიწოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს, ებრაელთა პასექის დღესასწაულზე აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორწმუნესათვის. თუმცა მესამე დღეს – კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით ხდება. ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირას მორწმუნეები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ.

დედა ენის დღე

ქართული ენის დღის აღსანიშნავად შოთა რუსთაველის დარბაზში რსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მწერლები შეიკრიბნენ. უნივერსიტეტელებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა 1978 წლის 14 აპრილსა და 26 მაისს განვითარებული მოვლენები გაიხსენეს და მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობაზე ისაუბრეს. 33 წლის წინ ქართველმა ერმა არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში იმ ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ღონისძიება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ორგანიზაცია „კავკასიონისა“ და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ილია ჭავჭავაძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

ტრადიციად დამკვიდრდება...

8 აპრილს, ზურაბ გორგილაძის გარდაცვალების დღეს, პირველად ჩატარდა „პოეზიის საათი“ ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში. აქ თავი მოიყარეს მწერლებმა, მსახიობებმა, პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებმა, საზოგადოების ცნობილმა სახეებმა, პოეტების ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა. სტუდენტებმა ყვავილებით შეამკეს საყვარელი პოეტების საფლავები და მათ ხსოვნას სანთლები აუნთეს. პირველი სიტყვა პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა წარმოთქვა, რომლის შემდეგაც ზურაბ გორგილაძის ლექსების კითხვა ტაშისა და ოვაციის ფონზე გაიმართა.

პოეტს მკითხველი უკვდავყოფს თუ მისი ლექსი ხალხის სულისკვეთების გამომხატველია. ლექსს ძალდატანებით ვერ ისწავლი. ისწავლი და დაგავიწყდება. ლექსი თავად უნდა იყოს მკითხველის გულის დამპყრობი. ეს დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, რომელიც ტიციან ტაბიძემ შენიშნა და თქვა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“. ზურაბ გორგილაძისა და ფრიდონ ხალვაშის ლექსებიც, თავად იზიდავენ მკითხველის გულს და სტუდენტი პირველი უნდა ეხმიანებოდეს პოეტს. სტუდენტი ლექსის პირველი შემფასებელი უნდა იყოს, პირველი მაყურებელი სპექტაკლისა, ახალი საინტერესო წიგნის პირველი წამკითხველი...

ზურაბ გორგილაძის პოეტური სიტყვის ძალისა და სილამაზის შესახებ ისაუბრეს პოეტებმა: დავით თედორაძემ, ვახტანგ ღლონტმა, ცისანა ანთაძემ, ამირან ხაბაზმა, ანა დუნდუამ, იაშა თანდილავამ, ფრიდონ ხალვაშის ქალიშვილმა მერი ხალვაშმა. ითქვა, რომ პოეზიის საათი ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს ამ ძვირფას საფლავთან.

სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს ზურაბ გორგილაძის მეუღლემ — ლეილა დავითაძემ და დამ ფატუშა გორგილაძემ.

17 მაისს ფრიდონ ხალვაშის „პოეზიის საათი“ გაიმართება...

იწყება სტუდენტთა დასაქმების მიზნობრივი პროგრამა

ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სტუდენტთა დასაქმების მიზნობრივი პროგრამის პრეზენტაცია გამართეს. პროგრამაში მონაწილეობას ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 608 სტუდენტი მიიღებს. მონაწილეები თითოეული სასწავლებლისთვის დადგენილი კვოტის ფარგლებში შეფასების 100-ქულიანი სისტემით შეირჩევიან. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 394 სტუდენტი დასაქმდება. პროგრამა ორ ეტაპად მაისსა და აგვისტოში განხორციელდება. ახალგაზრდები ერთი თვის განმავლობაში შაბათ-კვირას იმუშავებენ და 200 ლარიან ანაზღაურებას მიიღენ. რეგისტრაცია 1 მაისამდე ქალაქ ბათუმის მერიაში (ლერმონტოვის ქ.№ 90,18) იწარმოებს. მონაწილეთა შერჩევა იწარმოებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: 1.სტუდენტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე და მეტია 57 000-ზე) -12 ქულა; 2. სტუდენტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 57 000-ზე) -20 ქულა; 3. სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით და მამით) -10 ქულა; 4. სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი) წევრი — 15 ქულა; 5. სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე, ან ეკომიგრანტი — 20 ქულა; 6. სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზუკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი — 15 ქულა; 7. წარჩინებულ სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება ტოლია ან მეტია 81-ის — 8 ქულა;

9 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფეროს-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირებს. 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოქრონიკის ჩვენების შემდეგ საპროტესტო აქციის უშუალო მონაწილეებმა ამ დღის მნიშვნელობა და შედეგები შეაფასეს. უნივერსიტეტელებმა ზღვისპირა პარკში მემორიალი ყვავილებით შეამკეს და სანთლები დაანთეს. 22 წლის წინ ქვეყნის თავისუფლებას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1991 წლის 9 აპრილს მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ ეს თარიღი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

რსუ-ს ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის კოლეჯის დელეგაცია ეწვია

ეკო და აგრო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის კოლეჯის დელაგაცია ეწვია. დელეგაციის წევრები ხუთი დღის განმავლობაში რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნობიან. ნორვეგიის სამთავრობო პროექტის ეგიდით უმაღლეს სასწავლებლებს შორის დაიგეგმა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება, ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში კურიკულუმის შემუშავება და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირება. ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტი რსუ-ს სტუდენტებს ასევე სთავაზობს ბიზნესადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას, რომლის განხორციელებაც მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყება.

მემორანდუმი გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების ევროპულ უნივერსიტეტთან

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების ევროპული უნივერსიტეტის დეკანმა სტეფან ბეჰრინგერმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ტურიზმის სფეროში ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, ონლაინ-ბიბლიოთეკის გამოყენებას,

კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას ითვალსინინებს. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ დელეგაციის წევრები ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ და გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებებ ის ევროპული უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააცნეს.

შეხვედრა სამართალმცოდნეობის სპეციალობის კურსდამთავრებულებთან

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარატმენ-

ტის აკადემიური პერსონალი სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულებს შეხვდა. ღონისძიების მიზანი იყო სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულთა ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განახლების პროცესში. შეხვედრაზე მხარეები კურსდამთავრებულთა ასოციაციის დაფუძნებასა და ონლაინრეჟიმში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. მათ საშუალება მიეცემათ წარმოადგინონ მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, რაც მომავალში სასწავლო პროცესზე აისახება.

ღია პირველობა მკლავჭიდში

მიმდინარე წლის დამდეგს, ხულოს რაიონში, ჩატარდა ღია პირველობა მკლავჭიდში. ღონისძიებაში მონაწილეობა სულ 103-მა სპორტსმენმა მიიღო. შეჯიბრება ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართა. 65 კგ. წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გია ბერიძემ. 75 კგ. წონით კატეგორიაში ღია პირველობის სახელი და თასი მოიპოვა მერაბ ცეცხლაძემ. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს ფირუზ ჭელიძემ და \ანდრეი ფედორინოვმა. 85 კგ. წონით კატეგორიაში ღია პირველობის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა მირზა აბუსელიძემ. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს გიორგი ბერიშვილმა და ახმედ შავაძემ. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა რუსლან ქავთარაძე, რომელსაც გადაეცა გამარჯვებულის თასი და დიპლომი, ხოლო მეორე ადგილი წილად მირზა აბუსელიძეს ხვდა, რომელიც დიპლომით დაჯილდოვ-

და. საერთო გუნდური პირველი ადგილი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა. გუნდის მწვრთნელი დარინა ცეცხლაძე გახლდათ.

უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დეპარტამენტის სპეციალისტი

შოთა ჯვართავა

სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანლის წარდგინებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 18 თებერვლის №7 გადაწყვეტილებით განხორციელდა სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“. პროგრამაში მონაწილეობა შეეძლო წარჩინებულ, სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიანი ოჯახის წევრ, დევნილ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შვილებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს. 70 კონკურსანტიდან 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლის საფასურში შეღავათი 37 სტუდენტმა მიიღო (26 სტუდენტმა 100%-იანი, 1 სტუდენტმა 70%-იანი და 10 სტუდენტმა 50%-იანი).

დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით:

- **განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი — 23 სტუდენტი;**
- **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი — 4 სტუდენტი;**
- **ტურიზმის ფაკულტეტი — 1 სტუდენტი;**
- **საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი — 5 სტუდენტი;**
- **აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი — 4 სტუდენტი.**

სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ინიციატივით, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის და მასთან არსებული კულტურის ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა საქველმოქმედო აქცია. აქციის ფარგლებში, სტუდენტურმა თეატრალურმა დასმა სპექტაკლი — „ქართველები“ წარმოადგინა. საქველმოქმედო აქციის შედეგად შემოსული თანხით დამატებით დაფინანსდა 9 სტუდენტი, რომლებსაც პროგრამის ფარგლებში წარდგენილი ჰქონდათ განაცხადი და აკმაყოფილებდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

უნივერსიტეტის N227-ე აუდიტორიას ალექსანდრე ბერაძის სახელი მიენიჭა

რსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის №227-ე აუდიტორიას ცნობილი მათემატიკოსისა და ღვაწლმოსილი მეცნიერის ალექსანდრე ბერაძის სახელი მიენიჭა. კლასიკური გეომეტრიის თვალსაჩინო წარმომადგენლის სახელობის აუდიტორიის გახსნაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, კოლეგებმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და ოჯახის წევრებმა აღიარებული მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიხსენეს და მის სამეცნიერო მიღწევებზე ისაუბრეს. დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ცნობილმა მათემატიკოსმა ალექსანდრე ასლანის ძე ბერაძემ. იგი 1952-57 წლებში იყო ალგებრა-გეომეტრიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1957 წლიდან გარდაცვალებამდე მათემატიკის კათერდის დოცენტი და მათემატიკის დეპარტამენტის დოქტორი, 1957-62 წლებში პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში, 1962-71 წლებში მათემატიკის კათედრის გამგის მოადგილე, 1978-79 წლებში დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრის გამგე. ალექსანდრე ბერაძე დაიბადა 1926 წლის 19 აგვისტოს ქობულეთის რაიონიოს სოფელ ქაქუთში. ქაქუთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს. როგორც ნიჭიერი, შრომისმოყვარე და წარჩინებული კურსდამთავრებული, იმავე წელს სამუშაოდ დატოვეს მათემატიკის კათედრაზე. 1949 წლიდან ალექსანდრე ბერაძე კრუპსკაიას სახელობის მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტია. მან პროფესორ ს. ბახვალოვის ხელმძღვანელობით მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია „ერთ-ერთი ბრტყელი გეომეტრიის აქსიომატიკური აგება“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1953 წელს. ალექსანდრე ბერაძემ 50-ზე მეტი ნაშრომი დაწერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სახელმძღვანელოები: „გეგმილური გეომეტრია, როგორც ვექტორული სივრცის გეომეტრია და პირიქით“, „ორადობის პრინციპის შესახებ ვექტორულ სივრცეში“, „დიფერენციალური გეომეტრიის მოკლე კურსი“, „გეგმილური გეომეტრია“, „ზოგიერთი პირველ-დაწყებითი საკითხები ზოგად და გეომეტრიულ ტოპოლოგიაში“, „მატრიცები, დეტერმინატები და წრფივ განტოლებათა სისტემები“, რომლებიც სათანადო დახმარებასა და სარგებლობას უწევს არამარტო სტუდენტებს, არამედ გეომეტრიის შესწავლით დაინტერებულ ნებისმიერ მათემატიკოსს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკოსები სავსებით სამართლიანად აღიარებენ, რომ ბატონი ალექსანდრე ბერაძე გახლდათ საქართველოში კლასიკური გეომეტრიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მის მიერ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწვლებლებში წაკითხული ლექციები, მათემატიკოსთა უმარავ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებები და გამოსვლები ყოველთვის იწვევდა მსმენელთა დიდ ინტერესს. ალექსანდრე ბერაძის დამსახურება და ღვაწლი ჩვენი ქვეყნის და უნივერსიტეტის წინაშე უყურადღებოდ არ დარჩენილა, მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მათ შორის ღირსების ორდენი და საპატიო სიგელი.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო შეხვედრა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და მკვლევრებს ახალი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსების პირობები გააცნეს. ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ნოსელიძემ ყურადღება იმ სიახლეებზე გაამახვილეს, რაც ბოლო პერიოდში განხორციელდა. გამოყენებითი კვლევების კონკურსის პირობების მიხედვით თითქმის გაორმაგდა სახელმწიფო დაფინანსება, შეიცვალა პროექტის ხანგრძლივობა, გამარტივდა კონკურსში წარსადგენი პროექტის დიზაინი და მონაწილეობისთვის აუცილებელი პროცედურები. დოკუმენტაციის მიღება თითქმის ელექტრონულად მოხდება.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა

2010 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. ახლადჩამოყალიბებული ფაკულტეტი სწავლების

თანამედროვე ტექნოლოგიებით უკვე აღიჭურვა. ხელმძღვანელობის მისიაც სწორედ კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაა.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ კითხვებს ფაკულტეტის დეკანი სრული პროფესორი — ბატონი როსტომ ბერიძე პასუხობს.

— უნივერსიტეტში ფაკულტეტების რეორგანიზაცია განხორციელდა. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს ტურიზმი ცალკე ფაკულტეტად გამოეყო. რა გახდა ამის მიზეზი?

— ***ტურიზმის ფაკულტეტი*** შეიქმნა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №112 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბრის №01 გადაწყვეტილებით — „რსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს

გამოეყოს ტურიზმის პროგრამული მიმართულება („ტურიზმის“ საბაკალავრო და „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები) და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს ტურიზმის ფაკულტეტი“. ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აჭარის არ მთავრობის და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით.

22 აპრილს ტურიზმის ფაკულტეტის პრეზენტაცია გაიმართა. წარდგინებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, წამყვანი სასტუმროების მენეჯერები, დარგის ექსპერტები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. სიტყვით გამოსვლისას, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ ფაკულტეტის შექმნის მნიშვნელობაზე, პერსპექტივებზე და ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა, ალიოშა ბაკურიძემ, მოწვეულ სტუმრებს ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები გააცნო. ფაკულტეტის მისია ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და განათლების პოპულარიზაციაა. ასევე, ტურიზმისა და მასპინძლობის დარგისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურისტული მომსახურების ბაზარზე.

— რამდენად იყო მზად ტურიზმის სპეციალობა აკადემიური პერსონალით, რომ ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბებულიყო?

— ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შეადგენს კონკურსის წესით არჩეული 1 სრული, 2 ასოცირებული და 3 ასისტენტ პროფესორი. მოწვეული არიან მოწინავე პროფესორები, პროფესიონალი პრაქტიკოსები და უცხოელი სპეციალისტები (აშშ., გერმანია და სხვა ქვეყნებიდან).

— ფაკულტეტზე რამდენი პროგრამული მიმართულება მუშაობს?

— ტურიზმის ფაკულტეტი არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და



ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მოვამზადეთ მოწინავე საგანმანათლებლო პროგრამები, შემოვიღეთ ახალი სასწავლო კურსები: ტუროპერირება, შეხვედრების მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტის პროგრამული სისტემა (Opera) და სხვა.

ტურიზმის ფაკულტეტზე მოქმედებს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- სასტუმრო საქმისწარმოება — 10 თვე (IV საფეხური, 1 ეროვნული გამოცდა)
- სასტუმრო საქმისწარმოება — 10 თვე (III საფეხური, სრული ზოგადი განათლება)
- სარესტორნო საქმისწარმოება — 4 თვე (III საფეხური, სრული ზოგადი განათლება)
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა — ტურიზმი — 4 წ.

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — ტურიზმი — 2 წ.
- სპეციალიზაცია:
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
- ეკოლოგიური ტურიზმი
- კულტურული ტურიზმი
- რეკრეაციული ტურიზმი
- აგროტურიზმი
- სამკურნალო ტურიზმი და საკურორტო საქმიანობა
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა — ტურიზმი — 3 წ.

— 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, საბაკალავრო პროგრამაზე რამდენ სტუდენტს ელოდებით?

— 2011-2012 სასწავლო წლისათვის ტურიზმის ფაკულტეტი საბაკალავრო პროგრამაზე 100, პროფესიულზე (სასტუმრო საქმისწარმოება — 10 თვე (IV საფეხური, 1 ეროვნული გამოცდა) — 30 სტუდენტს მიიღებს.

— ძირითადად, რამ განაპირობა ფაკულტეტზე არსებული კონკრეტული სპეციალობების გათვლა?

— არსებული სახით უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განპირობებულია ტურისტული მომსახურების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებით.

— აშკარაა, რომ ამ სფეროზე ჩვენივე რეგიონში მოთხოვნა დიდია. როგორი იქნება კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი?

— ჩვენ მიერ მომზადებულ ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ექნებათ სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რაც მათ საშუალებას მისცემს დასაქმდნენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურისტული მომსახურების ბაზარზე.

– საზაფხულოდ, ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს სეზონური დასაქმების პერსპექტივა ექნებათ?

— წელს 40 სტუდენტს საშუალება ექნება საზაფხულო დასაქმების პროგრამით იმუშაონ ისეთი ცნობილი ბრენდის მქონე სასტუმროში, როგორიცაა „შერატონი“.

— სად გაივლიან ისინი პრაქტიკას?

– ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ბათუმში ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში, ასევე უცხოეთთანაც მზადდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

ტუროპერირებაში უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ტურიზმის ფაკულტეტზე არსებულ „ტურისტული სააგენტო UNItour“-ში, რომელიც ერთ–ერთი ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტია.

ფაკულტეტის პარტნიორი ორგანიზაციების არსებობა მნიშვნელოვანია და რეალურ შესაძლებლობას გვაძლევს ტურიზმის დარგისათვის მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ფაკულტეტის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- GIZ- საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (გერმანია)
- CIM — საერთაშორისო მიგრაციის ფონდი (გერმანია)
- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
- აჭარის არ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი
- დრეზდენის „ევროპის ბიზნეს-კოლეჯი“
- მიუნხენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტი
- შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი, ტრაპიზონი)

დასასრული გვ.4

- სასტუმრო -Sheraton Batumi
- სასტუმრო — Georgia Palace Hotel
- სასტუმრო — ერა პალასი
- Turkish Airlines
- TAV Georgia

— როგორია ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის სამომავლო გეგმები?

ჩვენი სამომავლო გეგმები მჭიდროდ უკავშირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის განვითარებას.

სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის შეიძინეთ კომპანია „Micros-Fidelio“-ს პროგრამული სისტემა — „Opera“. აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელმა მეცადინეობები ჩაატარა მომავალი ტრენერებისათვის. ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები როგორიცაა: „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“ და სხვა.

ამ დღეებში ტურიზმის ფაკულტეტს ვილნიუსის ბიზნესის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე იურგას ვიდუგირიენე და საერთაშორისო სწავლების ექსპერტი მარიუს ზალესკა სტუმრობდა. შეხვედრა ტურიზმისა და სასტუმროს მენეჯმენტის სწავლების სფეროში გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებდა.

13-17 აპრილს ტურიზმის ფაკულტეტს სტუმრობს ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის დელეგაცია რომლებიც პროექტის „ეკო და აგრო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა აჭარაში“ — განვითარებას ითვალისწინებს. ეს პროექტი ნორვეგიის აღნიშნულ უნივერსიტეტში ჩვენი სტუდენტების სწავლებასაც ითვალისწინებს.

ასევე, 18-22 აპრილს ფაკულტეტს გერმანიის სამი უნივერსიტეტის — მიუნხენის, დრეზდენის და ჰამბურგის დელეგაცია (ტურიზმის ფაკულტეტების დეკანები) სტუმრობს. გათვალისწინებულია ურთიერთშეთანხმების მემურანდუმზე ხელმოწერა, რომელიც სტუდენტთა გაცვლის პროგრამასაც ითვალისწინებს.

ამა წლის 4-5 ივნისს დაგეგმილია II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ ორგანიზება, რომელის აჭარის ტურიზმის პოტენციალის წარმოჩენას და წინსვლას ითვალისწინებს.

ჩვენი წარმატების საფუძველს წარმოადგენს: სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, საქმიან წრეებთან ურთიერთობა, სწავლების პროცესში მოწინავე პროფესორების, პროფესიონალი პრაქტიკოსების და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობა, რაც პრაქტიკის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამების მუდმივი შეთანაწყობის საშუალებას მოგვცემს.

ჩვენ ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები!

მალხაზ ჩოხარაძე

ხანძთა — ძიებანი და მოსაზრებები

მასალები დოკუმენტური ფილმის სცენარისთვის

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბათუმის უნივერსიტეტი №/№ 8, 9, 10, 11, 2010 წ.)

IX. ისევ მოსაზრებები არგუმენტების შესახებ და გამო

როგორც უკვე ვთქვი, ხანძთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართველოლოგიაში ორი მოსაზრება არსებობს. ისიც ცხადია, რომ ნუკა-საყდარიც და ქვემო ფორთის ეკლესიაც ერთ ზონაში, ერთმანეთის მახლობლად, 3-4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობენ, ამიტომ უმრავლესობა არგუმენტებისა, რომელთაც მეცნიერები იყენებენ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად, მეტ-ნაკლები ალბათობით გამოდგება როგორც ერთი, ასევე მეორე ვერსიის სასარგებლოდ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნუკა-საყდრის „უპირატესობა“ აშკარაა. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები:

1. პავლე ინგოროყვა წყაროებზე დაყრდნობით სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ:

კლარჯეთის 12 სავანე ტერიტორიულად ერთ ზონაში იყო მოქცეული. ისინი ერთ განცალკევებულ ტერიტორიულ ერთეულს, ცალკე მხარეს შეადგენდნენ.

კლარჯეთის 12 სავანეთა ეს მხარე მდებარეობდა არტანუჯისა და ანჩის მახლობლად.

კლარჯეთის ამ 12 სავანეთა მხარის საზღვრები იყო ერთი მხრით (ჩრდილოეთის მხრით) — ღადოს მთა, რომელიც კარჩხლის მთების განშტოებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრით (სამხრეთის მხრით) საზღვარი იყო შავშეთ-იმერხევის წყლის ხეობა.

ხანძთა და ოპიზა ერთიმეორის უშუალო მოსაზღვრეები იყვნენ.

რუკაზე დახედვაც კი საკმარისია, რომ დავასკვნათ: როგორც ნუკას საყდარი, ასევე ქვემო ფორთას ეკლესია ზუსტად თავსდება ამ საზღვრებში.

IX საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთის 12 სავანეთა მხარეში მეფე ბაგრატ კურაპალატის, მისი ძმების და ბერების მოგზაურობის ანალიზით პავლე ინგოროყვამ დაასაბუთა, რომ შეუძლებელია ქვემო ფორთის ეკლესია იყოს შატბერდი. მაგრამ იგივე მარშრუტი თანაბრად გამოდგება როგორც ქვემო ფორთის, ასევე ნუკას საყდრის ხანძთად სახელდებისათვის სასარგებლო არგუმენტად: მეფე-მთავრები და ბერები ოპიზიდან ხანძთაში გადავიდნენ, მერე მიძნაძორის მიმართულებით გასწიეს. ნუკაცა და ქვემო ფორთაც ოპიზასა და მიძნაძორს შორისაა.

პავლე ინგოროყვა იმოწმებს მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობას, XV-XVI საუკუნის დოკუმენტს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნეს ჯერ დიმიტრი ბაქრაძემ, მერე თედო ჟორდანიამ. აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ერთიმეორის მოსაზღვრე პუნქტებს ხანძთასა (თუ სანცხას — მ.ჩ.) და ოპიზას შორის მდებარეობდა ადგილი, რომელსაც რქმევია დახატულა. კერძოდ, დოკუმენტში ანჩელის სამწყსო ასეა წარმოდგენილი: „სამწყალს აქეთი სანცხას (// ხანძთას) და ოპიზას შუა დახატულა, იმას ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას სამზღვარამდინ.“ ხანძთა//სანცხის იგივეობაზე კამათი ამ შემთხვევაში ნაკლებად არსებითია. ეს სახელწოდება „დახატულა“ მოხსენიებული აქვს ნიკო მარსაც მოგზაურობის დღიურში და ეს ტოპონიმი დღესაც დასტურდება. როგორც ფორთელები ამბობენ, დახატულა მეზრეა (საძოვარი). იქვე გამოქვაბულიც უნდა იყოს, რომელშიც, ერთი ჩვენი რესპოდენტის თქმით, ჯერ კიდევ შეიმჩნევა კედლის მხატვრობა — ქალის, გველის გამოსახულებები და სხვა. სამწუხაროდ, ამჯერად არ მოგვეცა საშუალება, უფრო ახლოს გვენახა დახატულას მიდამოები, ამიტომაც ძნელი სათქმელია, დახატულას გამოქვაბულის ისტორია ჭეშმარიტებაა თუ მოხუცი ფორთელის ფანტაზიის ნაყოფი. მიუხედავად ამისა, ის კი უეჭვოდ დასტურდება დღესაც, რომ დახატულა თანაბრადაა ერთი მხრივ ოპიზას და მეორე მხრივ, გნებავთ ფორთას, გნებავთ ნუკა-საყდარს შორის.



ქვემო ფორთის ეკლესიის ჩამონგრეული გუმბათი

ვახტანგ ჯობაძე შენიშნავს, რომ „ხანძთის მონასტრის საყრდენი კედლების აღწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელსაც იმოწმებს ნიკო მარი თავისი მოსაზრების დასაცავად, მართლაც უდგება ნუკას საყდარს, მაგრამ ის ასევე შეეფერება ქვემო ფორთის მონასტერს, რომელიც ჩვენი აზრით არის ნამდვილი ხანძთა“. კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ყურადღებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტს და შევადაროთ იგი ამჟამინდელ რეალობას:

გიორგი მერჩულეს თხზულებაში ხაზგასმულია, რომ ხანძთის კლდეები „უფიცხლესია“ კლარჯეთის კლდეთა შორის და მონასტრისათვის ბერებმა დაავაკეს ეს ფიცხელი კლდეები. „და ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყნისა დავაკებად, რამეთუ კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლეს არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“; თავდაპირველად გრიგოლმა ხის ეკლესია ააშენა „და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირეი და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“. ეს მოხდა VIII საუკუნის 80-იან წლებში.

მოგვიანებით, IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლი აშენებს ქვის ეკლესიას გაბრიელ დაფანჩულის მორალური და მატერიალური დახმარებით. ბერებმა კიდევ ერთხელ გასწიეს დიდი შრომა, კიდევ ერთხელ დაავაკეს „ადგილი იგი საეკლესიოი და „კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიაი ხანძთისაი შეწევნითა ქრისტეისაითა. და მეოხებით წმიდისა გიორგისითა, და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა...“ (ეს დავაკება და ხაზგასმულად მძიმე შრომა მნიშვნელოვანი ფაქტია: ნუკას საყდრის სამხრეთ კედელი სპეციალურად ამოყვანილ სუბსტრაქციაზე დგას. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემით ნუკას საყდრის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ხანძთისას).

დავიხსომოთ, რომ აქ საუბარია ხანძთის ძველ ეკლესიაზე. გავიხსენოთ, რომ გიორგი მერჩულეც ხანძთაში მოღვაწეობს, ოღონდ არა გრიგოლის მიერ აშენებულ ამ ძველ ეკლესიაში, არამედ უფრო გვიან, ბერის გარდაცვალების მერე აგებულ ახალ მონასტერში და გრიგოლის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების მონათხრობის მიხედვით წერს თავის თხზულებას.

ახალი მონასტრის თემას ჩვენ კიდევ მიუბრუნდებით, ახლა კი ისევ ტექსტს მივმართოთ და გავიხსენოთ, როგორ აღუწერს გრიგოლი დემეტრე მეფეს ხანძთის მიდამოებს:

„და არს იგი უგზო და მიუვალ რაითურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკვიდრობაი მათი, და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაი იგი, და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაი გარემოადგეს ზღუდის სახედ უძრავისა.

და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა, და წყალთა მათგან საშინლად ძნელოვანთა ადგილთა მრავალთაისა.

და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაი, არცა ყანაი სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაი აქუს კარაულისა ზურგისა...“

ეს აღწერა ზუსტად ემთხვევა ამჟამინდელი ნუკას საყდრის შემოგარენს. ცხადია, არც ქვემო ფორთაა შარაგზაზე, უნდა დავეთანხმოთ ბატონ ვახტანგ ჯობაძეს, იქაც ბევრი კლდე და ბუნებრივი ზღუდეა, მაგ-

დასასრული გვ. 5-6

ხედი ზემო ფორთიდან

რამ ამავე დროს იქ ბაღებიცაა, ხეხილიც, სახნავ-სათესი ადგილებიც მოიძებნება. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გრიგოლი დემეტრეს სწორედ ნუკას მიდამოებს უხასიათებს; გავიხსენოთ ისიც, რომ დემეტრესთან შეხვედრა ხდება 826 წლის ახლოს, მაშინ, როცა ხანძთის ქვის ეკლესია აგებულია და ბერებიც მყარად არიან დამკვიდრებული აქ.

მანამდე კი, როცა ბერები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ კლარჯეთში, როცა გრიგოლი პირველად ჩავიდა ხანძთაში, იქ დახვდა „ვინმე ბერი... მარტოდ მყოფი, კაცი მართალი და წმინდაი, რომლისა სახელი ხუედიოს.“

თუ ჩვენ ამ თვალსაზრისითაც შევადარებთ ნუკას და ფორთას, განმარტოებით დაყუდებული მეუდაბნოე ბერის მოღვაწეობისთვის სავსებით შესაფერისი ადგილი სწორედ ნუკაა. ნიკო მარის ემოციაც ამას ეფუძნებოდა – ეს არის ბუნებრივი გარემო უკიდურესი ასკეტიზმისათვისო. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „მარტოდ მყოფი ხუედიოსი“ სწორედ აქ ნახა გრიგოლმა და ეს ადგილი შეარჩია ეკლესიის მშენებლობისათვის.

ვახტანგ ჯობაძისვე აზრით, „ისეთ დამრეც ფერდობზე, როგორზეც ნუკას საყდარი დგას, შეუძლებელია საკმარისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა ხანძთისოდენა მონასტრის თემის საჭიროების დასაკმაყოფილებლად“.

პატივცემული მკვლევრის ამ მოსაზრებას უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ, შესაბამისად, ალბათ იგულისხმება, რომ ქვემო ფორთის შემოგარენში შესაძლებელია მონასტრის თემისათვის საკმარისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა. მაგრამ ეს ყველაფერი, თუ გავითვალისწინებთ მერჩულეს თხზულების ტექსტს, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ შეუძლებელია ქვემო ფორთა იყოს გრიგოლის ხანძთა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გრიგოლის „ქებაი ხანძთისაი.“ ბერი აშოტს ეუბნება, რომ ხანძთაში „სათესავი ყანაი და სათიბელი ქუეყანაი რაითურთით არა არს, არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოსათა“. ანუ სახნავ-სათესი და სათიბი მიწა სრულიად არ არის და არც იქნება უსწორმასწორო და ღორღიან, ციცაბო მთის კალთებზეო. ამიტომაც იყო, რომ აშოტ კურაპალატმა აგარაკად, ანუ სახნავ-სათესად შესწირა „ადგილნი კეთილი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“.

აფხაზეთის მეფე დემეტრესთან საუბრისას კი გრიგოლი პირდაპირ აცხადებს, რომ მონასტრის თემის საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ვერ მოჰყავთ ხანძთაში:

„და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაი, არცა ყანაი სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაი აქუს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნგრევიან და ეგრევე მტილები“. ანუ, მონასტრის მიდამოებში არც სათიბი, არც სახნავ-სათესი მიწა არ არის, საკვები დიდის გაჭირვებით, ვირით მიაქვთ, გაჭირვებით და წვალებით ჩაუყრიათ პატარა ვენახი და ასევე ბოსტნები გაუშენებიათ.

ჩვენ, ცხადია, ვეყრდნობით ხანძთის გრიგოლისეულ აღწერილობას:

ნუკას მიდამოებზე თვალის ერთი გადავლებაც ცხადყოფს, რომ ეს ადგილები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის სავსებით გამოუსადეგარია, რასაც ასე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით ფორთას შესახებ.

ვახტანგ ჯობაძე აღნიშნავს: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, სანამ ხანძთის ეკლესიის მშენებლობას დაიწყებდნენ, საჭირო გამხდარა მიწის მოსწორება. ესეც არ შეეფერება ნუკას საყდარს – აქ მოსასწორებელი მიწა საერთოდ არ არის, მხოლოდ კლდეა.“

ფაქტია, რომ ნუკას საყდარი კლდეზეა აგებული. ისიც უდავოა, რომ ეკლესიის ასაგები ადგილის დავაკება გამხდარა საჭირო თანაც არაერთგზის. პირველად მაშინ, როცა ბერები ხის ეკლესიას აგებდნენ: „იწყეს საქმედ სენაკებისთვის ქუეყნისა დავაკებაი, რამეთუ კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლეს არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი,“ თავდაპირველად გრიგოლმა ააშენა ხის ეკლესია და მასთან ერთად „საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთათვის მცირე და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია არა მხოლოდ ეკლესიაზე, არამედ ნაგებობათა კომპლექსზე – ბერთა სამყოფელ ასევე სატრაპეზო თუ სხვა დანიშნულების სენაკებზე. მიწის დავაკებასთან ერთად ნახსენებია ფიცხელი კლდეებიც ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაგებობათა ნაწილი ზედ კლდეზე იყო აღმართული, ნაწილიც — მიწაზე. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა როგორც კლდის, ასევე მიწის მოსწორება. ადგილის მოსწორება საჭირო გამხდარა მეორე, ქვის ეკლესიის მშენებლობის დროსაც: „ხოლო ნეტარმან გრიგოლმან ადგილი იგი საეკლესიოი დაავაკა,“ – აღნიშნავს მერჩულე. ცნობილი არაა, ქვის ეკლესია ზუსტად იმ ადგილას აშენდა თუ მოშორებით, ამ მონაკვეთში არც მიწის დავაკებაზეა საუბარი, არც კლდისა. ნახსენებია მხოლოდ საეკლესიო ადგილი, რომელიც შეიძლება სწორედ ის კლდე ყოფილიყო, რომელზეც დღემდეა შემორჩენილი ნუკას საყდარი. შესაძლებელია მშენებლებმა ახალი ადგილი დაავაკეს, ან ძველი გააფართოევს. ბუნებრივია, ქვის ეკლესიის მშენებლობას მოჰყვებოდა ქვისავე დამხმარე ნაგებობების მშენებლობაც. რელიეფიდან გამომდინარე, ეს ნაგებობები შეიძლება ყოფილიყო კლდეებშიც და მიწაზეც.

მესამედ ხანძთის ეკლესიის მშენებლობას, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, შესდგომიან X საუკუნის დასაწყისში, როცა ხანძთის წინამძღვრად მამა არსენი იყო. სამშენებლო ადგილი ამჯერადც მოასწორეს:

„...იქმნა დაწყებაი ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაი ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვით-კირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს, და ესრეთ შერაცხეს შემზადებაი ადგილისა მისა, ვითარმცა სრულიად აღეშენა.“

როგორც ვხედავთ, აქაც უპირატესად ფიცხელ კლდეებზეა საუბარი. ასეც რომ არ იყოს, ნუკას ეკლესიის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე ნაგებობათა ნაწილი მიწაზეა აგებული, ნაწილი — „ფიცხელ კლდეებზე“ — მსგავსად გადარჩენილი საყდრისა. ნაწილიც მეწყერს წაუღია და ოდინდელი სურათის სრულად აღდგენა დღეს შეუძლებელია.

ვახტანგ ჯობაძე ნუკას საყდრის ხანძთასთან გაიგივების საწინააღმდეგოდ კიდევ ორ არგუმენტს გვთავაზობს: I. „ნუკას საყდარი ბაზილიკაა და სამშენებლო ტექნიკაში IX საუკუნის ეკლესიებისათვის (პარეხთა, ესბეკი) დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. რის გამოც შეუძლებელია ის მივიჩნიოთ ხანძთის ეკლესიად, რომელიც X საუკუნის I ნახევარში აშენდა. II. გიორგი მერჩულის მიხედვით ქვები ხანძთის მონასტრის ასაგებად შორი გზიდან მოჰქონდათ, ნუკას საყდარი კი ადგილობრივ მოპოვებული ქვებითაა აშენებული“.

თუ დავუშვებთ, რომ ნუკას საყდარი არა ბოლო, X საუკუნეში აგებული, არამედ IX საუკუნის დასწყისში უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მეცადინეობით აშენებული ნაგებობაა, ზემოხსენებული წინააღმდეგობები თავისთავად მოიხსნება. ბუნებრივია, ეს ეკლესია სწორედ IX საუკუნისთვის დამახასიათებელი სამშენებლო ტექნიკით და არქიტექტურით უნდა იყოს აშენებული და ამასთან ადგილობრივ მოპოვებული ქვით. მერჩულე მხოლოდ X საუკუნეში მიმდინარე ხანძთის ეკლესიის ბოლო მშენებლობის შესახებ ამბობს, რომ „ხოლო ქვაი და კირი ფრიად შორით მოქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.“

X. გუნათლეს ვანი

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ორჯერაა მოხსენიებული გუნათლე. პირველად იმ ეპიზოდში, როცა გრიგოლი გაბრიელ დაფანჩულის თხოვნით დედათა მონასტრისთვის ეძებს ადგილს და მას „გუნათლეს მახლობლად“ იპოვის და მეორედ მაშინ, როცა ბერები „როჭიკისა თხოვად ხანძთისათვის“ გუნათლეში მივლენ აბულასათთან, გაბრიელ დაფანჩულის შვილთან.

პავლე ინგოროყვა ნიკო მარის ჩანაწერებზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ გუნათლე შავშეთშია. „გუნათლე დღემდის არსებობს შავშეთში (მას ამჟამად ეწოდება გურნათელი), აქ დაცულია ნანგრევები სავანისა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე,“ — წერს იგი.

უკანასკნელ ხანს მკლევარმა დარეჯან კლდიაშვილმა ნუკას საყდარი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ გუნათლეს ვანთან გააიგივა. მისი აზრით, ხანძთა დაფანჩულთა გვარის მამაკაცთა სამარხია, ხოლო ამავე ფეოდალური სახლის დედათა საძვლე გუნათლეს დედათა მონასტერია, დღეს ნუკა-საყდრის სახელით ცნობილი.

მკვლევარისთვის „სადავო აღარ არის, რომ ხანძთა ქვემო ფორთაში მდებარე სამონასტრო კომპლექსია“ და არა ნუკა-საყდარი. შესაბამისად, რაკი ნუკა არქიტექტურული ფორმებით VIII-IX საუკუნეების მიჯნას, ანუ კლარჯეთში ფართოდ გაშლილ სამონასტრო მშენებლობის პერიოდს მიეკუთვნება, უნდა გამოირიცხოს იმის ალბათობა, რომ მის შესახებ არაფერია ნათქვამი 951 წელს, გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ დაწერილ აგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები და მათი ისტორია.

„ცხოვრების“ მიხედვით გაბრიელ დაფანჩული „შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, ყოველსა ზედა საქმესა გამარჯვებითა და კეთილადმორწმუნოებითა ქებულ იყო.“

გაბრიელს „მახლობლად ვანსა გრიგოლისასა აქვნდეს ზოგნი სოფელნი“. ამგვარი ფორმულირება („ზოგნი სოფელნი“) უკვე ნიშნავს, რომ მას სხვაგანაც უნდა ჰქონოდა სოფლები, ანუ „ზოგნი“ მახლობლად, „ზოგნიც“ ალბათ მოშორებით. გუნათლეც დაფანჩულთა სამფლობელოა, მაგრამ ტექსტიდან არ ჩანს, იგი ხანძთის მეზობელ სოფელთა შორისაა თუ სადმე სხვაგან (მაგალითად, შავშეთში) მდებარეობს.

გრიგოლი დახმარების სათხოვნელად გაბრიელის ოჯახში მიდის, მაგრამ კერძოდ რომელ დასახლებულ პუნქტში, ამ ეპიზოდის მიხედვით არ ჩანს. თხზულების მიხედვით, წმინდა ბერს ოჯახის უფროსი შინ არ დახვდა, ხოლო მისმა მეუღლემ, მარიამმა, პატივისცემით მიიღო. წასვლისას მონასტრის გზის დასასწავლად ხალხი გააყოლა და შემდგომში თანადგომის პირობით დაიმედა გრიგოლი.

შინ დაბრუნებულმა გაბრიელმა გაიხარა, როცა ბერის სტუმრობის შესახებ გაიგო, გრიგოლს წიგნი გაუგზავნა და კვლავ მობრძანება სთხოვა. ბერმა ისმინა მისი თხოვნა. დიდებულმა აზნაურმა პატივით მიიღო ბერი, წარუდგინა თავისი ოთხი ძე — პატრიკი, გვარამი, არშუშა და აბულასათი, სთხოვა ლოცვებში მოხსენიება და აგება ქალთა მონასტრისა, რომელიც იქნებოდა „სამარხავი მიცვალებულთა დედათა.“

სამონასტრო ადგილი გრიგოლმა მხოლოდ ძიების მერე შეარჩია („ძიება ყო“) გუნათლეს მახლობლად. სად არის გუნათლე, არც ამჯერად ჩანს. მშენებლობაზე საუბრისას მერჩულე ერთი წინადადებით იფარგლება: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ძიება ყო გულისმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათა, რომელსა ან ჰრქვიან გუნათლეს ვანი“. როგორც ვხედავთ, ავტორი აქ არ ასახელებს „ფიცხელ კლდეებს“, რაც ესოდენ დამახასიათებელია ნუკას მიდამოებისათვის და ეს ფაქტიც ნუკას და გუნათლეს გაიგივების სასარგებლოდ არ მეტყველებს.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ არ ჩანს, გუნათლე დაფანჩულთა სამფლობელო იმ „ზოგ“ სოფელშია ნაგულისხმევი, ხანძთის მახლობლად რომაა, თუ სხვაგან-მეთქი. მოგვიანებით მერჩულე კვლავ ახსენებს გუნათლეს, როგორც გაბრიელ დაფანჩულის ვაჟის აბულასათის საცხოვრებელ ადგილს. ესეც ნიშანდობლივი ფაქტია. ტექსტის მიხედვით არ ჩანს, ეს იგივე სოფელია, სადაც წინათ გრიგოლი შეხვდა გაბრიელს, თუ სხვა რომელიმე დასახლებული პუნქტი. უფრო საფიქრებელია, რომ სხვა სოფელი იყოს.

აბულასათთან გრიგოლის მოწაფე, ნეტარი ეპიფანე მივიდა „როჭიკისა (საზრდოს) თხოვად ხანძთისათვის“. აბულასათი დაჰპირდა, რასაც შენი ძმები ერთ დღეს მომკიან, თქვენი იყოსო.

ეპიფანემ შეკრიბა ძმები, ვისაც კარგად ეხერხებოდა მკა და შეუდგნენ გულმოდგინე გარჯას. შუადღისას უკვე გამოჩნდა, რომ საღამომდე მთელი ყანის აღებას შეძლებდნენ. უკეთურმა კაცებმა დედოფალს

დასასრული 6-გვ.

ეკლესიის ნაშთები გურნათელში, მდ. ორთვალწყლის პირას

აცნობეს, რაც მისთვის, როგორც ჩანს, მოულოდნელი აღმოჩნდა და კაცი გაუგზავნა, რათა მკა შეეწყვიტათ. ბერებმა ყური არ ათხოვეს ამბის მომტანს. მაშინ ისინი, დედოფლის ბრძანებით, ძალით გაყარეს.

ამ ეპიზოდის ანალიზისას მართლა შეიძლება დაუშვა, რომ რაკიღა რამდენიმე ბერმა, თუნდაც „კეთილად მომკელთა“, ერთი დღეში შეძლეს მთელი ყანის აღება, როგორც დ. კლდიაშვილი შენიშნავს, „არც გუნათლეს სახნავ-სათესი მიწები უნდა ყოფილიყო გამორჩეული სივრცითა და სიუხვით“. მაგრამ ჩვენ არც ის ვიცით, სხვა საყანე ადგილები იყო გუნათლეში თუ არა, ძალიან თუ მოინდომებ, იმის გამოთვლაც შეიძლება სცადო, რა ფართობზე შეძლებდნენ მოსავლის აღებას ბერები და მოიძებნება თუ არა ნუკა-საყდრის მიდამოებში იმხელა საყანე ტერიტორია, რამდენიმე საუკეთესო მომკელმა მთელი დღის განმავლობაში რომ იმუშაოს; ვეჭვობ, რომ მოიძებნოს... შეიძლებოდა დაგვეძებნა პარალელები საზღაპრო ეპოსთანაც (გმირის მიერ წარმოუდგენლად მცირე დროში შესრულებული დიდი მოცულობის სამუშაოს მოტივი) — აგიოგრაფიამ ხომ უხვად გამოიყენა კლასიკური (ანტიკური ხანის) მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების თავისებურად გადამუშავებული მხატვრული არსენალი.

მაგრამ ასეთ „წვრილმანებზე“ დროის დაკარგვა არ ღირს, რადგან ხსენებული ეპიზოდი ნაწარმოებში ჩართულია იმ ადგილას, სადაც ნეტარი ეპიფანეს, გრიგოლის მონაფის, სასწაულების შესახებაა მოთხრობილი.

გიორგი მერჩულეს სიტყვით, „დიდი ეპიფანე სიმდაბლითა თვისითა მიიწია საზომსა თვისსა მოძღვრისასა და ცრემლთა დათხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და სნეულთა მსწრაფლ განჰრკუნებდა და მრავალთა სხვათა სასწაულთა იქმოდა, ურჩთა რაი გვემითა განსწავლიდა და მორწმუნეთა ლოცვითა სიკვდილისაგან იხსნიდა“.

ნეტარმა ეპიფანემ, მას შემდეგ, რაც ბერები ყანიდან გააძევეს, უფალს შესთხოვა დედოფლის შენდობაცა და ამავე დროს მცირედით დასჯა მისი, რათა „ისწავოს არა გმობაი გლახაკთაი“.

უფალმა კადნიერებისათვის დედოფალს მადლი განაშორა და მაშინვე „დასცა იგი სულმან უკეთურმან“. მხოლოდ ეპიფანეს და ძმათა მისთა ლოცვის წყალობით განიკურნა. ამის შემდეგ დედოფალი „კეთილად შეიცვალა და შეუვრდა ეპიფანეს და ძმათა მათ და დიდითა კეთილითა განუტევნა იგინი სიხარულით.“

აქ ნათლად ჩანს ეპიფანეს სასწაულის ძალა: მან ჯერ რისხვა მოუვლინა დედოფალს, შემდეგ განკურნა ღვთისავე ნებით. ყანის მკის ეპიზოდიც ნაწილია ბერის სასწაულებისა: როცა აბულასათი მკის ნებას რთავდა, ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ ბერები მთელ მოსავალს (თუნდაც მხოლოდ ერთი ყანის მთელ მოსავალს) წაიღებდნენ. რაკიღა მან თქვა „- დღესა ერთსა შინა რაიცა მომკონ, მიმიციაო“, აქ უკვე იგულისხმება, რომ რაღაც ნაწილის მიცემას ვარაუდობდა, თორემ ვინ დაუშლიდა იმ ყანის მთელი პურეული თავიდანვე გადაედო ეკლესიისთვის.

ბერების გულმოდგინება მოულოდნელი აღმოჩნდა დედოფლისთვისაც: აბულასათმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ გუნათლეს მყოფ ცოლს ამცნო და თავად „სხვად ქვეყანად“ წავიდა. დედოფალს არც უკმაყოფილება გამოუხატავს და არც წინააღმდეგობა გაუწევია. იგი მხოლოდ მას შემდეგ შეწუხდა („შეიურვაო“, — წერს მერჩულე), როცა შუადღისას „კაცთა ვიეთმე უკეთურთა“ ამბავი მიუტანეს — „სრულად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა“. რამდენი მომკელი მუშაობდა ყანაში, უცნობია, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ აბულასათსაც და შესაბამისად დედოფალსაც მხოლოდ მოსავლის ნაწილის მიცემა ჰქონდათ განზრახული. ბერების შრომისუნარიანობა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. შესაბამისად, გუნათლეს მცირემიწიანობაზე დაბეჯითებით საუბარი ძნელია და მკის ისტორიის დაკავშირებაც ნუკა-საყდრის მიდამოებთან ჭირს ამ უკანასკნელის რელიეფის გამო: რაღა ამ კლდეღრეში მივიდოდნენ საროჭიკოდ და სამკალად ბერები...

როგორც ვხედავთ, ნუკას ეკლესიასთან გუნათლეს ვანის გაიგივების პირდაპირი არგუმენტები არც მერჩულეს თხზულებაში და არც რომელიმე სხვა წყაროში არ დასტურდება. მე უკვე არაერთხელ შევეხე კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ გეოგრაფიას, ამიტომ დეტალებს აღარ მივუბრუნდები, მაგრამ უნდა შევნიშნო ისიც, რომ ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ თორმეტ სავანეს შორის იმავე ეპოქაში აგებული გუნათლე არ იხსენება, მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გუნათლე არა კლარჯეთის ამ სექტორში, არამედ სხვაგან მდებარეობდა. ვთქვათ, სწორედ შავშეთში, გურნათელში (ახლა სუსუზი), როგორც პავლე ინგოროყვა, მიიჩნევდა. მარის დროს აქ, კოკიშაურად (კოკოშაურად) წოდებულ ადგილას, ეკლესიის კედლები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო.

გრიგოლის ღვაწლი შავშეთსაც რომ სწვდებოდა, ნათლად ჩანს მერჩულეს თხზულებაში. აქ მოიხსენიება კლარჯეთის მოსაზღვრედ მდებარე ქვეყანა შავშეთისა, აქაური დასახლებული პუნქტები, ასევე შავშეთის იერარქი მტბევარი, რომლის რეზიდენცია იყო ტბეთი, ნახსენებია შავშეთის მხარის მოღვაწეები და სხვა.

არსებითად შავშეთ-კლარჯეთი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, იყო ერთი სექტორი, მოღვაწეობის ერთი არე. ამას მოწმობს მატერიალური კულტურის ძეგლთა (ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეების, ქვის ხიდების) განლაგებაც და დღემდე შემორჩენილი ლეგენდებიც. ამრიგად, გუნათლე-გურნათელის განხილვა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ფარგლებში სავსებით ბუნებრივი ჩანს.

ოქროსმაძიებელთა საქმიანობის კვალი გურნათელში, ბალათის ნაეკლესიარზე

გურნათელი შავშეთისწყლის მარცხენა ფერდობზე, სათლელის ცნობილი ციხის მოპირდაპირე მხარეს, ფორთის აღმოსავლეთით, დაახლოებით 25 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. იგი ტიპური შავშური სოფელია — დაფენილი ველებით, წიწვოვანი და შერეული ტყეებით. გულიანი, სტუმართმოყვარე გურჯები კი არიან, მაგრამ აქაურებს ქართული დიდი ხანია (XIX საუკუნიდან მოყოლებული) დავიწყებული აქვთ (თუმცა, გურნათლელი სერვეთ ავჯი გვარწმუნებდა, ბაბუაჩემმა ჯერ კიდევ იცოდა ქართული ენაო). ნიშანდობლივია, რომ ქართულ ფესვებზე უარს არ ამბობენ. დღესაც დასტურდება ქართული მიკროტოპონიმები, მათ შორის მარის მიერ მოხსენიებული კოკიშაური (კოკოშაური), ველთა, აგრეთვე ბალათი, ნათოძირევი (//ნატაძრევი), პატარაყანა წიწელთა, აღნაური, ძველყანა, ნაურმა, ჯურმული, უჯამურთა, ჯაფაროთხარო, აღმა-დაღმა, ჭილლუღი...

ქართული აღარ იციან-მეთქი გურნათელში, მაგრამ ქართული სიტყვები აქაურთა თურქულში ჯერ კიდევ ისმის. ანუ, თუ მეტისმეტად მივეძალებით ფაქტებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ისე ლაპარაკობენ ქართულად, ვერც აცნობიერებენ თავად... დაე ლირიკულ ჩანართად ჩამეთვალოს, მაგრამ უთუოდ უნდა გავიხსენო, როგორ დაგვიღამდა გურნათელის განაპირას, ერთ-ერთ ნაეკლესიარზე, მდინარე ორთვალწყლის (ორთვალსუს) პირას (2010 წლის ოქტომბრის ექსპედიცია). უკან, სოფლის დასახლებულ უბნებამდე მეტად შორი გზა იყო, ტყიანი. ამიტომ გამყოლთა რჩევით ვამჯობინეთ მდინარე გაგვეტოპა და სოფელ ანკლიაში გადავსულიყავით,- იქედან ავტომობილით შეიძლებოდა გურნათელში ასვლა.

გამყოლებმა საცალფეხო ხიდი ეძებეს და ვერ იპოვეს. ჰოდა, როცა შარვლებაკაპიწებულები და ფეხშიშველები მივტოპავდით ყინულივით ცივ წყალში, ერთ-ერთმა გამყოლმა თითქოს თავი იმართლა: აქ წინათ წანწალაქი იყო, მაგრამ წყალს წაუღიაო. ეს წინადადება, ცხადია, თურქულად თქვა, მაგრამ სანამ ბატონი ზაზა შაშიკაძე გვითარგმნიდა, სიტყვა „წანწალაქი“ მანამდე მისწვდა სმენას. წანწალაქს თურმე ვიწრო, საცალფეხო, ბეწვის ხიდს უწოდებენ და ერთმანეთს ძალაუნებურად გადაება ლინგვისტური ასოციაციები: წანწალი — სიარული — საწანწალო — სასიარულო — ხიდი — გადასასვლელი... ამას დაემატა საერთო განწყობა: ვინ იცის, იქნებ მართლაც ძველი გუნათლეს ვანის მახლობლად მდინარეში მივტოპავდით კლდესა და ღრეში ჩარჩენილი პროფესორები და ქართველობადავიწყებული, მაგრამ ერთობ გულმოდგინე, პატიოსანი, თავაზიანი, ფესვებს მონატრებული გურჯი გამყოლები... და რა გასაკვირია, რომ ეს მშვენიერი სიტყვა ისე გვემშობლიურა, ვითომც ჩვენს მხლებლებში ერთი პატარა, ძველი საქართველო აღმოგვეჩინოს!

თანამედროვე გურნათელში ძველი, აქტიური სასულიერო ცხოვრების კვალი იმითღა ჩანს, რომ რამდენიმე ნაეკლესიარის თუ ნატაძრევის ნახვა ჯერ კიდევ შეიძლება. იქნებ გუნათლეს ვანი მართლაც გურნათელში იყო, მაგრამ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, კერძოდ, სად მდებარეობდა იგი. თუმცა, ვარაუდების დაშვება შეიძლება: ჩვენთვის საინტერესო სავანე გურნათელში შემორჩენილი სამი „ნაქილისვარიდან“ ერთ-ერთი უნდა იყოს.

ერთი მათგანი, როგორც ვთქვი, ნიკო მარმა აღწერა. გუნათლეს ვანთან იგი მოგვიანებით პავლე ინგოროყვამ გააიგივა. მარის თქმით, ეკლესია ტყეშია, მაღლა, კოკოშაურად წოდებულ ადგილას. ეკლესია იყო ძველი, ტიპიურად შავშური, წაგრძელებული, ოთხკუთხა, შიგნით ნახევრად მომრგვალებული საკურთხევლით. ნაშენი იყო პატარა, მსხვილი, უხეშად დამუშავებული ქვებით. XX საუკუნის დასაწყისში საკურთხევლის კედელი შედარებით კარგად ყოფილა შემორჩენილი და ჯერ კიდევ წააწყდებოდი ჯვრებიან ქვებს.

უნდა ითქვას, რომ საკუთრივ კოკოშაურში ეკლესიის ნაშთებზე ვერავინ მიგვითითა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამა თუ იმ მიკროტოპონიმით სახელდებული ტერიტორიის საზღვრები ხშირად პირობითია. იმის დაზუსტებაც ჭირს, მაგალითად, ბალათი (ბალაძე ცხოვრობდა იქ და იმიტომ ჰქვია ბალათიო, ასე აგვიხსნეს), კოკოშაურის ნაწილია, თუ მისგან გამიჯნული. ყოველ შემთხვევაში, ეს ორი უბანი გურნათელის ერთ სექტორშია და, ჩვენი ვარაუდით, ბალათში მდებარე ნაქილისვარია სწორედ ის შავშური ეკლესია, რომელიც ნიკო მარმა აღწერა. დღეს იგი მიწასთანაა გასწორებული, აღარც კედლის ნაშთებია, საძირკველიც მიწით და მცენარეებითაა დაფარული. სოფლის მუხტრის, მიქაელ დემირჯის თქმით, ნგრევაში განძის მაძიებლებმაც ითამაშეს დიდი როლი. ფაქტიც იქვე ვნახეთ (2010 წლის ივლისის ექსპედიცია): ოქროს პოვნით ანთებულ რომელიღაცა გურნათლელს პროფესიონალი არქეოლოგის გულმოდგინებით გადაუთხრია მიწა და იქ ნანახმა სურათმა ჩვენი გამყოლები იმდენად შეაწუხა, რამდენჯერმე ბოდიშიც მოიხადეს თანასოფლელთა სიხარბით დარცხვენილებმა.

სამწუხაროდ, არც ნიკო მარი და არც სხვა მაშინდელი ავტორები გურნათელის სხვა სავანეების შესახებ არაფერს ამბობენ. არადა სოფელში უაღრესად საინტერესო სურათი იხატება.

კიდევ ერთი ნაგებობის კვალი მაღლობზეა: გურნათელს ირგვლივ მთები აკრავს. ზემოხსენებული გორაკი აღმოსავლეთის ფერდობზეა და იმ ადგილს ნათოძირევი//ნატაძრევი ჰქვია. ადგილობრივთა თქმით, წინათ აქ მონასტერი ყოფილა. ახლა მიწის ზედაპირზე აღარაფერი ჩანს, მაგრამ უძველესი სავანის ხსოვნა აქაურთა მეხსიერებაში არ წაშლილა.

მესამე ნაგებობა, მდინარე ორთვალწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ზემოხსენებული ნაეკლესიარი თუ ნამონასტრევი, მრავალმხრივაა საინტერესო. სოფლის ცენტრიდან იქამდე დაახლოებით ერთი საათის ფეხით სავალია. კოკოშაურიდან წასული მგზავრი ძველისძველი საურმე გზით გაივლის იახმეთურს, ყარაიაღს, ბეჩათს და ციცაბო ფერდობით მდინარის პირას ჩავა. ამ ადგილს ქილისეს ეძახიან.

ნაეკლესიარზე მისვლა ორთვალწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ ანკლიიდანაც შეიძლება. ეს გზა უფრო მოსახერხებელია, მაგრამ მდინარის გატოპვაა საჭირო.

ჩვენ ორივე გზა გავიარეთ და შეძლებისდაგვარად მახლობელი მიდამოებიც დავათვალიერეთ.

ნაგებობათა კვალი თვალსაჩინოა, თუმცა, ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული. განძისმაძიებელთა „ნაღვაწი“ აქაც ჩანს. გაუთხრიათ ძველი საფლავებც და ძვლები მიწაზე ყრია. დღეს ძნელია დაბეჯითებით საუბარი იმაზე, მთელი სამონასტრო კომპლექსი იყო აქ, თუ მხოლოდ ეკლესია. როგორც ჩანს, ახლო-მახლო დასახლებაც ყოფილა. ამასთან, გამყოლებმა მოშორებით გვაჩვენეს უზარმაზარი გათლილი ქვა, რომელზეც რაღაც ნიშნები თუ ფიგურები იყო ამოკაწრული.

ადგილი სავსებით შესაფერისია მონასტრისათვის, თუმცა, როგორც ვთქვი, დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ძნელია. თუ აქაც ლირიკას მივმართავთ, თან ფანტაზიასაც დავატანთ ძალას და მიდამოსაც გულდასმით დავათვალიერებთ, შეიძლება მისაღებად მოგვეჩვენოს არცთუ ფანტასტიკური შეფერილობის აზრი, რომ ნუკას საყდრის და გურნათელის ზემოხსენებული სავანის ასაშენებელი ადგილი ერთი პიროვნების (ვთქვათ, გრიგოლ ხანძთელის) გემოვნებითაა შერჩეული. განსხვავებაც დიდია, მაგრამ საერთო განწყობით ეს ორი ადგილი რაღაცნაირად ეხმიანება ერთმანეთს. თუ ნუკას საყდარს მდინარე კარჩხალას ნაპირიდან (მარცხენა ნაპირიდან) გახედავ, ხოლო გურნათელის ქილისას ანკლიიდან — ორთვალწყლის ასევე მარცხენა ნაპირიდან, აშკარად იგრძნობა მსგავსი ხედვა, ოღონდ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობია რელიეფის მნიშვნელოვანი განსხვავებაც: გურნათელში ფიცხელი კლდეები არაა. კაცმა რომ თქვას, არც შეეფერება ისინი ქალთა მონასტერს...

მოკლედ, კითხვა ბევრია, პასუხები — ცოტა. გურნათელში კი დღემდე სჯერათ, რომ ზოგჯერ ქილისეს თავზე, მდინარისპირა კლდესთან გადმოდგება ხოლმე თეთრებში ჩაცმული თეთრწვერა კაცის აჩრდილი. — ბევრს უნახავსო, — ამბობენ, — ოღონდ შორიდანო. ეს ლეგენდაც უკან მოხედვაა, გაუცნობიერებელი ნაღველია წინაპრების, ძველის, დაკარგული ფესვებისა და წარსულის გამო, წარსულისა, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება...

(გაგრძელება იქნება)

მოგონებები წარსულ დღეებზე

ლიზა მალაზონია–ბიბლიოთეკათმცოდნე

30 აპრილი ბიბლიოთეკარის საერთაშორისო დღეა. ქალბატონმა ლიზამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბიბლიოთეკაში გაატარა. იგი სიამოვნებით იგონებს აქ გატარებულ წლებს.

ბრძენს უთქვამს, ცხოვრება ის დღეები როდია, რომელიც წავიდა, არამედ ის, რომელიც დაგვამახსოვრდაო. პირველად 1962 წლის 13 იანვარს მოვედი მოკრძალებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ზამთრის თბილი, მზიანი ამინდი იდგა ბიბლიოთეკის შენობაში ველოდებოდი ბიბლიოთეკის გამგეს ბატონ მუხამედ ვანილიშს. ის იყო განათლებული პიროვნება, არაბული ენის კარგი მცოდნე.

1968 წელს დაუსწრებლად დავამთავრე თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოთეკათმცოდნეობა- ბიბლიოგრაფიის სპეციალობით. 1995 წლიდან 2007 წლამდე ვიყავი ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ლილი გოგუაძე. ქალბატონი ლილი, საბიბლიოთეკო საქმის კარგი მცოდნე, სიამოვნებით გვიზიარებდა თავის გამოცდილებას კოლეგებს.

საბიბლიოთეკო საქმის კარგი სპეციალისტი იყო ლიდა ტუროიანი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ჩვენს ბიბლიოთეკაში. გახსენების ღირსია ბიბლიოთეკარი რუსუდან ფილიპაშვილი, რომელიც მოულოდნელადდ წავიდა ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან.

სხვადასხვა დროს ჩვენს ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ კარგი სპეციალისტები: ვენერა გობრონიძე, ლუიზა სვანიძე, ბელა წილოსანი, რუსიკო რაზმაძე, რომლებმაც მთელი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ზეპირად იცოდნენ. უკანასკნელ დროს საბიბლიოთეკას ემსახურებოდნენ ბიბლიოთეკარები: ნათელა ურუშაძე, გულისა შარაშიძე, ლალი მიქელაშვილი, ლამზირა რესულიძე, რუსიკო რურუა, მანანა გედენიძე, დოდო შენგელია, მანანა მაქსიმეიშვილი, თალიკო გობრონიძე, მანანა ყაჭეიშვილი, ნაირა ფოფხაძე, ლამარა კუნჭულია.

ბიბლიოთეკაში 45 წლის განმავლობაში ჰიგიენურ წესებს იცავდა ევგენია ცაცურიანი. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ხშირად ვიკრიბებოდით დაბადების დღეებზე, დავდიოდით თანამშრომლების ქორწილებში, ვმოგზაურობდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ჩემს ოჯახურ ალბომს ამშვენებს სურათები, რომლებიც ჩემში მოგონებებს აცოცხლებს წარსულ დღეებზე.

ჩემი მუშაობის პერიოდში ბიბლიოთეკის დირექტორები იყვნენ: მუხამედ ვანილიში, ნათელა ნაკაშიძე, მერი ლომინაძე, ლილი გოგუაძე, იური ჩხარტიშვილი მიხეილ ჟორჟოლიანი, რევაზ დიასამიძე, მზია ჯიბუტი. დღეს ბიბლიოთეკას სათავეში უდგას ქალბატონი ლელა თურმანიძე.

ამჟამად ბიბლიოთეკაში მუშაობენ: მერი ლომინაძე, ლილი ტიკარაძე, მერი კონცელიძე, ია სურმანიძე, ნინო თურმანიძე, მზევინარ ხალვაში, ნათია ბურჭულაძე, ნინო კვირცხალია, მერაბ მეგრელიშვილი. თითოეულ მათგანს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და მკითხველის დიდ სიყვარულს.

იური ბიბილეიშვილი

ორი ხალხის ღირსეული შვილი



რამაზ სურმანიძე

ისმეთ დინდარი

გამომცემლო „ალიონმა“ გამოსცა პროფ. რამაზ სურმანიძის ახალი ნაშრომი „ისმეთ დინდარი“.

პროფ. რამაზ სურმანიძე ათეული წლების მანძილზე ხელძღვანელობდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის აჭარის ორგანიზაციას და დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფარგლებსგარეთ მცხოვრებ ჩვენებურებთან სულიერი კავშირის განმტკიცებაში. ამ ეროვნულ საქმეს თავის დროზე ფასდაუდებელი ამაგი დასდეს მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა. ისინი შთააგონებდნენ თავიანთ მკითხველებსა და მსმენელებს: ჩვენ იმ ეროვნების ადამიანები ვართ, რომელ ენაზეც ვლაპარაკობთ. შემდეგ ეს იდეა ახალი ძალით განავითარა და გააფართოვა ფრიდონ ხალვაშმა და ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისათვის უმთავრეს რელიგიად ქართული ენა გამოაცხადა: „მე ყოველთვის იმით მომწონს თავი, რომ თუ წარსულში სხვა ბევრი რამ წამართვეს, ყველაზე დიდი სიმდიდრე, ეროვნულობის ნიშანი და ერთადერთი ჩემი რელიგია – ქართული ენა – არ დამიკარგავს....“ „ქართული ენა და ქართული კულტურა არის ის ფენომენი, რომელიც ქართველებს გაგვაერთიანებს.“ ამ მიმართულებით პროფ. რამაზ სურმანიძემ, როგორც მკვლევარმა და როგორც ჩვენებურებთან ურთიერთობის ორგანიზატორმა, გადადგა უაღრესად საჭირო და პრაქტიკული ნაბიჯები. გამოხმაურებაც არ აყოვნებს. მკვლევარი გულითად მადლობას ღებულობს ჩვენებურებისაგან. სიამაყის გრძნობით გვავსებს პროფ. რამაზ სურმანიძის ახალი ნაშრომიც „ისმეთ დინდარი“. ისმეთ დინდარის სახელს ახლა კარგად იცნობენ გულით დაავადებული ადამიანები მსოფლიოში. იგი – თურქეთის მოქალაქე, ქართული წარმოშობის მიქელაძეა. ისმეთ დინდარის წინაპრები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში გადაიხვეწნენ თურქეთში, დამკვიდრდნენ ქ. ფაცაში და როგორც სასულიერო მოღვაწეებმა, გვარად მიიღეს კომპოზიტი „დინდარი“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „რწმენის ერთგული“.

ისმეთ მიქელაძე-დინდარი დაიბადა 1956 წელს. მიიღო თანამედროვე ევროპული განათლება კარდიოლოგიაში. დღეს ის მსოფლიო სახელის გულის მკურნალი დასტაქარია. ამასთან მას არ ავიწყდება მისი ისტორიული ფესვები და სასურველი დესპანია თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილნაყოფიერი თანამშრომლობისა. ისმეთ დინდარის მონაწილეობით საქართველოში შემოტანილია ანგიოლოგიური და კარდიოლოგიური მკურნალობისათვის განკუთვნილი უახლესი აპარატურა. ამასთან, დინდარი თავის ქართველ კოლეგებს იწვევს თურქეთში ერთობლივი ოპერაციების ჩასატარებლად. პერიოდულად თვითონაც ჩამოდის თბილისში რთულ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ისმეთ დინდარის, კარდიოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა. მიენიჭა მას აგრეთვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ისმეთ დიდარი დაჯილდოვებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფ. რამაზ სურმანიძე თავის წიგნში არ იფარგლება მხოლოდ ისმეთ დინდარის პიროვნებითა და მოღვაწეობით. ავტორი ეროვნული ცნობიერების დონეზე გაიაზრებს მთავარ მოვლენებს და ფართოდ მიმოიხილავს მეორე სახელოვანი ჩვენებურის, ისმეთ დინდარის ბიძაშვილის, პროფესორ ბილალ დინდარის მოღვაწეობას. ისმეთ და ბილალ დინდარები ისეთივე იდეოლოგიით ზრდიან ჩვენებურების თაობებს, როგორი მიზნებითაც საქართველოში მოღვაწეობდნენ მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ფრიდონ ხალვაში და სხვ. 1997 წელს თბილისში მოწყობილ დიდ შეხვედრაზე ქართველ საზოგადოებასთან ბილალ დინდარი ჭეშმარიტად ეროვნული იდეების პოზიციებიდან აცხადებდა: „ერთი და იგივე მოდგმისა და ეროვნების ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა აღმსარებლობას მიეკუთვნებიდან, რელიგია მათი გამაერთიანებელი ვერ გახდება, რადგანაც იგი უფრო პიროვნულია, ვიდრე ეროვნული. ამიტომ აქ მთავარი ენაა“. ამავე პოზიციაზე დგას მეორე სახელოვანი დინდარიც. ბატონი ისმეთ დინდარი ამბობს: „მე მართლაც ერთ ღმერთს ვემსახურები. ერთი გული მაქვს, მაგრამ ის ორადაა გაყოფილი. მდიდარი ვარ იმით, რომ მაქვს ორი სამშობლო, ვარ ორი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე, მყავს ორი მშობელი ერი, მაქვს ორი გვარი და თავისუფალად ვმეტყველებ ორ ენაზე. ჩემი მიზანია ამ ორ ქვეყანას და მის ხალხებს შორის სიყვარული, პატივისცემა და კეთილმეზობლური ურთიერთობა. მე, როგორც მედიკოსი, ამ მიზანს ჩემი ხელოვნებით, ექიმობით ვცდილობ და მგონი შეძლებისდაგვარად ვაღწევ კიდეც“.

როგორც იტყვიან, ღირსეული ბიძაშვილები ტოლს არ უდებენ ერთმანეთს საქართველოს სამსახურში. მაგალითად, რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით ბილალ დინდარს გამოფენაზე უნახავს უცხო ენებზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“. სულ 70-ზე მეტი წიგნი დაუთვლია. არ იყო მხოლოდ თურქული ვარიანტი, რამაც დაბადა ამ დიდი პოემის თარგმნის იდეა. პროფ. ბილალ დინდარის წყალობით ახლა თურქი მკითხველიც კითხულობს შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას.

წარმატებები ვუსურვოთ სახელოვან დინდარებს ეროვნულ სამსახურში, რაც ასე საინტერესოდ არის გადმოცემული პროფ. რამაზ სურმანიძის ნაშრომში „ისმეთ დინდარი“.

„odnoklassniki“ და სტუდენტობა

21-ე საუკუნე ინფორმაციული საუკუნეა. ადრე თუ შეიძლებოდა ინფორმაციის გაგება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებისა და ტელე-რადიოსაშუალებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალება გახდა ინტერნეტიც. მას უამრავი მომხმარებელი ჰყავს მსოფლიო მასშტაბით.

ერთ-ერთი საიტი, რომელიც დღეს ძალიან მოდაშია, არის ,,ოდნოკლასსნიკი“, რომელსაც ყველა თაობის მომხმარებელი ჰყავს. ასაკი შეზღუდული არ არის, თუმცა ძირითადად, მაინც სტუდენტები სარგებლობენ. თუ რა დროს ატარებს სტუდენტი ,,ოდნოკლასსნიკი“-ში და ძირითადად რა თემაზე საუბრობენ ისინი, ამის შესახებ ჩვენი უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი (საფინანსო, საბანკო და სადაზღვეო საქმე) თეონა წიტაიშვილი გვიამბობს:

_საერთოდ ინტერნეტში დიდ დროს ვატარებ, ,,ოდნოკლასსნიკი“-ში კი დაახლოებით დღეში 3 საათს. ძირითადად ვსაუბრობთ ახალ, საინტერესო ამბებზე, მუსიკაზე, ფილმებზე, პირად ცხოვრებაზე და ა.შ.

რა ახალი და საინტერესო ინფორმაციის გაგება შეგიძლია ამ საიტიდან და არის თუ არა ის შემეცნებითი?

_,,ოდნო“ საშუალებას მაძლევს შევიძინო ახალი მეგობრები და მოვიკითხო საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავები. შემეცნებითი ნაკლებადაა, ის გართობის და განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა, საიდანაც ვგებულობთ ახალ ამბავს მეგობრების შესახებ. ის გვახსენებს ჩვენთვის საყვარელი ადამიანების დაბადების დღეების თარიღებსაც, აგრეთვე ვნახულობთ ვიდეო-კლიპებს, რომელიც იმ დროისათვისაა პოპულარული, ასევე შეგვიძლია მოვძებნოთ ცნობილი ადამიანები, დავათვალიეროთ მათი ალბომები, სტატუსები, მეგობრები, კომენტარები და ა.შ.

დასასრულისთვის შემიძლია ვთქვა, რომ ,, ოდნოკლასსნიკი“ ჩემთვის მხოლოდ გართობისა და განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი **ირინა მსხალაძე**

პატარა, მაგრამ საჭირო წიგნი

გამოქვეყნდა პროფ. იური ბიბილეიშვილის მოგონებების წიგნი „საქართველოსთვის“, რომელშიც აღწერილია 1956 წლის 5-9 მარტს ბათუმში ჩატარებული საპროტესტო მიტინგები.

ორმოცდათხუთმეტი წელი გვაშორებს 1956 წლის მარტის ცნობილი მოვლენებიდან. ბევრი უბედურება დატრიალდა მაშინ საქართველოში. თბილისში სისხლიც დაიღვარა. კიდევ ერთხელ დასაჯეს ქართველი ხალხი გამოვლენილი პატრიოტიზმისათვის.

სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვმა პიროვნების კულტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში გააკრიტიკა სტალინი და მასთან ერთად შელახა საქართველოს, ქართველი ხალხის ღირსება. ამას მოჰყვა საპროტესტო მიტინგები საქართველოში (და არა მარტო საქართველოში). საპროტესტო მიტინგების ეპიცენტრი, ბუნებრივია თბილისი იყო. მეორე ცენტრის ფუნქცია, როგორც სარეცენზიო ნაშრომიდან ჩანს და რედაქტორის სიტყვაშიც არის მინიშნებული, ღირსეულად შეასრულა ბათუმის ახალგაზრდობამ და მხარი აუბა დედაქალაქს.

აჭარაში, კერძოდ, ბათუმში 1956 წლის 5-9 მარტს გამართული საპროტესტო მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელი პირველი კურსის სტუდენტი, ახლა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური ბიბილეიშვილი. ამჟამად ის ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნის რედაქტორია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ბარამიძე. წიგნი ეძღვნება თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, დავით მამულაძის (1910-1981) ნათელ ხსოვნას, რომელსაც დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 30 წელი შეუსრულდა.

ინტერესს იწვევს წიგნის სახელწოდება „საქართველოსთვის“. ავტორი სამშობლოს ღირსების დასაცავად ახალგაზრდობის 1956 წლის მარტის მოძრაობას მიიჩნევს საქართველოსათვის ბრძოლად. ამიტომ წიგნსაც ასე უწოდებს. ავტორი თვლის, რომ საქართველოში 1956 წლის 5-9 მარტის დღეებში ტრაგედია დატრიალდა არა ი. ბ. სტალინის ძეგლთან ყვავილების მიტანის, არამედ საქართველოს ღირსების დაცვისათვის. 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიებით დაშინებულმა ხალხმა ოცი წლის შემდეგ (1956 წ.) პირველად გაბედა და გამოთქვა კრემლის საწინააღმდეგო შეხედულებები.

რამდენადაც 1956 წლის მარტის მოვლენებს ვიცნობთ საარქივო მასალებით და მასზე დაწერილი სხვა ლიტერატურით, ვიტყვით, არქივში მოძიებული ფრაგმენტებთან ერთად იური ბიბილეიშვილის მოგონებები გამოდგება წყაროდ უახლესი ისტორიის ამ პერიოდის საკითხების დამუშავებისას.

წიგნში არაერთ მომენტზეა გამახვილებული ყურადღება. ავტორი სწორად მსჯელობს, როცა წერს, რომ საბჭოთა პერიოდი ჩვენი ისტორიის ნაწილია. მისი უარყოფა კი არ უნდა მოხდეს პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ღრმამეცნიერული შესწავლა, რომ შეცდომები არ გავიმეოროთ.

ახალგაზრდა სტუდენტს, როგორც „ბრალდებულს“ და პატიმარს, სასაუბროდ შეხვდა დავით მამულაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი პირველი პირი და აჭარაში მყოფი საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. წიგნის ავტორი აღნიშნავს: „მათი სახით ჩემს წინაშე იდგნენ არა შეურიგებელი მოწინააღმდეგენი და ჩემი მკაცრად დასჯის მოსურნენი, არამედ თანამგრძნობელნი, რომელთაც სურთ რაც შეიძლება ზედმეტი გართულებების გარეშე დაწყებული გამოძიება მიყვანილ იყო ბოლომდე“. ხელმძღვანელებთან შეხვედრის შედეგად ი. ბიბილეიშვილი გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მაგრამ რაკი ბრალად ედებოდა პოლიტიკური დანაშაული, საბოლოოდ მაინც მიუსაჯეს პატიმრობა და სასჯელი მოიხადა მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. იავასის პოლიტიკურ პატიმართა შრომა-გასწორების ბანაკში. წიგნში, 5-9 მარტის გაკვეთილების სახით, ავტორი პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ როგორ გადაურჩა ბათუმის მიტინგი იმ უბედურებას, რაც დატრიალდა თბილისში, გორში, ქუთაისში. ავტორი სამ ფაქტორზე მიუთითებს: პირველი – აჭარის ხელმძღვანელობა, დავით მამულაძის წინდახედულობით, არ დაუპირისპირდა მომიტინგეებს და არ დაუშვა სამხედრო ძალის გამოყენება და მთელი პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღო. მეორე – გასაქანი არ მიეცათ პროვოკატორებს, რომლებიც განსაკუთრებული ძალით ავლენენ თავს და მოჩვენებითი „პატრიოტიზმით“ მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. მესამე – მიტინგმა თავიდანვე სწორი მიმართულება აირჩია. გამოსვლებში გამორიცხული იყო გაბოროტება და შურისძიება სხვა ხალხების მიმართ.

ავტორი წიგნს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ჩემს შთაბეჭდილებებში არდავიწყების შარავანდედი ამშვენებს ყველა იმათ სახესა და სახელს, ვინც ღირსეულად იდგა თავის პოსტზე და პირადი ამბიციების გამო არ სწირავდა ჩემისთანა ახალგაზრდებს.“.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ პროფესორ იური ბიბილეიშვილის წიგნი სიმართლით ასახავს არა მარტო ახალგაზრდობის, არამედ მთელი მოსახლეობის განწყობას. მათ შორის პარტიული ელიტის ბრძოლას საქართველოს ღირსების დასაცავად. ი. ბიბილეიშვილის „საქართველოსთვის“ მოცულობით პატარაა, მაგრამ ღირებული და საჭირო წიგნია. საყურადღებოა ავტორის მოსაზრება, რომ 1956 წლის მარტის საპროტესტო გამოსვლებმა დასაბამი მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომელმაც პიკს 1989 წლის 9 აპრილს მიაღწია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა.

პროფესორი სერგო დუმბაძე

სწავლა და სტუდენტობაში შექმნილი ოჯახი

საყოველთაოდ ცნობილია მოსაზრება, რომ ადამიანი ოჯახის შექმნისთვის ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, და სოციალურად მზად უნდა იყოს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს გააზრებულად და არა სპონტანურად, გრძნობებსა და ემოციებზე დაყრდნობით. გადაწყვეტილების მიღებამდე როგორც გოგომ, ისე ბიჭმა უნდა გააცნობიეროს ის დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რაც ოჯახის შექმნას და ბავშვის აღზრდას უკავშირდება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ყველაზე ხშირად, სწორედ სტუდენტობის ან სკოლის პერიოდში ეწვევა ადამიანს ის გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია. იქმნება ოჯახი და ამით იწყება ახალი ეტაპი ცხოვრებაში. მათი უმრავლესობა, ნაადრევად შექმნილი ოჯახის გამო, ვეღარ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. სწავლის გადადება უხდებათ რამდენიმე წლით, რაც, შესაბამისად, უარყოფითად აისახება მათ სამომავლო პროფესიასა და კარიერაზე. უკეთეს შემთხვევაში, კი ზოგი მათგანი ახერხებს სწავლა შეუთავსოს ოჯახურ ცხოვრებას, ბავშვების აღზრდას და ხშირ შემთხვევაში სასურველ მიზანსაც აღწევენ. და მაინც, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული სწავლა და ოჯახის ფენომენი ერთდროულად, რა განცდები და წინააღმდეგობები ახლავს, ან თუნდაც როგორ შეიძლება დავძლიოთ ეს სირთულეები და ბედნიერ ოჯახთან ერთად სათანადო განათლებაც მივიღოთ?!

ჩვენი რესპოდენტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ და სხვა კითხვებზე შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, გავცეთ პასუხები:

თათია, 20წლის;(სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი): „ჩემი მეუღლე ჩემზე სამი წლით უფროსია. გვყავს წლინახევრის ქალიშვილი. საერთოდ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს საყვარელი ადამიანები გვერდით, მაგრამ უამრავი პრობლემა მექმნება სწავლასთან დაკავშირებით. თუნდაც ის, რომ ბავშვის დამტოვებელი არ მყავს, არც შესაბამისი შემოსავალი გვაქვს, რომ ძიძა ავიყვანოთ. ამიტომ ლექციებზე წამოსვლამდე ბავშვი დედაჩემთან მიმყავს, ბათუმშივე ცხოვრობს. Yყველაზე დიდი პრობლემა კი ანის დატოვებაა. გამუდმებით ტირის და გული მიკვდება. მერე მთელი დღე, მისი ტირილის ხმა ჩამესმის. რაც შეეხება სწავლას, ყოველთვის ღამე ვსწავლობდი და ამ მხრივ საწუწუნო არაფერი მაქვს. გამოცდების პერიოდში მეუღლე მეხმარება, სამუშაოს შემდეგ მაქსიმალურად ცდილობს ბავშვისგან „გამათავისუფლოს“.. მიუხედავად ყველაფრისა, ოჯახი მართლაც მაძლევს ყველაზე მთავარს --ქმარ-შვილის უდიდეს სიყვარულს..“

ლიკა 21 წლის: „ არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ძალიან ძნელია ერთდროულად სწავლობდე და თან ოჯახიც შექმნა. მით უმეტეს თუ მშობლებისგან მხარდაჭერა არ გაქვს. მე და ჩემი მეუღლე სამედიცინოზე ვსწავლობთ და კურსელები ვართ. ორი წელია რაც დავქორწილდით. შვიდი თვის ლუკა გვყავს. დათოს ხშირად უწევს ლექციების გაცდენა, რადგან სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მუშაობს. მე კი, ლექციებზე რომ მივდივარ, ბავშვს ჩემს დას ვუტოვებ. ფინანსურად დეიდა გვეხმარება ხოლმე საბერძნეთიდან, მაგრამ მასაც ოჯახი აქვს..... გამოცდებისთვის მომზადება ძალიან მიჭირს. ხანდახან აკადემიურის აღებაზეც ვფიქრობ... მაგრამ ეს ყოველივე ჩვენი გადადგმული ნაბიჯის შედეგია და, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ვცდილობთ გავუმკლავდეთ. არ ვნანობ ნაადრევად რომ შევქმენით ოჯახი, როგორც ამას გამუდმებით გვიმეორებენ, არც მსხვერპლის გაღებად ჩავთვლი, თუ სწავლის მიტოვება მომიხდა. რადგან მიმაჩნია რომ ქალის უმთავრესი მოვალეობაა ოჯახი და შვილები.“

ნიკა 22 წლის: „ოჯახი პირველი კურსზე შევქმენი. სწავლის პერიოდში ქორწინება მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ასოცირდება. ჩემი მეუღლე აბიტურიენტი იყო. მართალია, ცოტა დამეჩაგრა, არჩეულ სასწავლებლებში ვერ მოხვდა და ოჯახის გამო დამატებით სიებშიც ვერ გავაკეთეთ განაცხადი, მაგრამ პროფესიული სასწავლებლის საკონდიტრო დაამთავრა. (ძალიან მიყვარს ნამცხვრები.) სწავლის პარალელურად ვმუშაობ სასტუმროში მიმტანად. ყველაზე მეტად მიჭირს დილით ადგომა და სასწავლებელში წასვლა. ხანდახან ბავშვის ტირილიც კი მაღიზიანებს, მაგრამ საკმარისია კესომ „მამა“ დამიძახოს ყველაფერი მავიწყდება. ეს ჩემი ოჯახია და მინდა ბედნიერი, უზრუნველყოფილი მყავდეს. რაც შეეხება მშობლებს, ისინიც, რა თქმა უნდა, გვახმარებიან, მაგრამ მაინც მაქსიმალურად ვცდილობ დამოუკიდებლად ვიცხოვროთ.“

როგორც ჩანს, სიყვარულის გარდა, ოჯახის წევრებს გარკვეული მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრიათ ერთმანეთის წინაშე, ამიტომ ოჯახის შექმნა, სწავლა და სასურველი ურთიერთობების შენარჩუნება არც ისე იოლია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთის მხრივ, საკუთარე ნებით უარს ამბობ გართობასა და სურვილისამებრ დროის განკარგვაზე: ეკონომიკური პრობლემები, დროის დეფიციტის გამო გამოტოვებული ლექციები, ხოლო მეორეს მხრივ, გვერდით გყავს ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარს. ამ ურთიერთობას ხომ ყველაზე ძვირფასი მოჰყვება?! პატარა — დიდი ბედნიერება?! მიუხადავად იმისა, რომ მედალს ორა მხარე აქვს, მთავარია სიცოცხლის სიყვარული არ დაკარგოს ადამიანმა!!!!

თეონა მელაძე

* * *

დილის ათზე გაიღვიძა ბატონმა ზურაბმა, მაგრამ ვაი ასეთ გაღვიძებას, გული საშინლად უცემს, მელოტ თავში თითქოს ჩაქუჩს ურტყამენ. საწოლს გახედა, მეუღლე ამდგარა უკვე, ალბათ სამზარეულოში ფუსფუსებს. გულისცემა კიდევ უფრო იმატებს და... ღმერთო ეს რა არის? საწოლს თეთრებში გამოწყობილი კაცი დასცქერის, ვინ ხარ და რა გინდა? რიხიანად ეკითხება ზურაბი. გამარჯობა აკაკიჩ, სიკვდილი ვარ მე, ეუბნება დაუპატიჟებელი სტუმარი. მერე ჩემთან რა გინდა კაცო? უკვე ჩურჩულებს ზურაბი და ოფლი ასხამს. რა მინდა ძმაო და წუხელის შენ იმდენი ღვინო დალიე, ნორმალურ კაცს კლავს მაგი და არ უნდა მოვსულიყავი ვითომ?

გაახსენდა ზურაბს გუშინდელი დღე, დილიდანვე ემზადებოდა თავისი დირექტორის დღობაზე სათამადოდ, ერთი საათი იპრანჭებოდა სარკის წინ, მეუღლემ შეაწყვეტინა პოზიორობა: „მოდი ისაუზმე ზურაბ“! რას ამბობ ქალო, შეეპასუხა ქმარი,ქეიფში მივდივარ და სახლში ვჭამო საჭმელი? მაგას ჯობია დროზე გავიდეთ და რამე კარგი საჩუქარი შევარჩიოთ, ისეთი სხვებისა რომ დაჩრდილოს, მარა იცოდე, ძალიან ძვირიანი არ იყიდო, არ დამღუპო. ძვირიანს მერე ვუყიდი, ხელფასს რომ მომიმატებს. ორი საათი ეძებდნენ მათთვის საკადრის და თან „არც ძალიან ძვირ“ საჩუქარს, ბოლოს როგორც იქნა მიაგნეს რაღაც მსგავსს. მივიდნენ რესტორანში, გამოეგებათ იუბილარი, მიულოცეს, გადაკოცნეს, ათასი ტკბილი სიტყვა უთხრეს მას და მის მეუღლეს, ამ უკანასკნელს თვალი უფრო საჩუქრისკენ ეჭირა, საღამოს ქმრისთვის რომ მოეხსენებინა ვინ რა მოიტანა, აბა არ უნდა იცოდეს პატივცემულმა დირექტორმა, რამდენად აფასებენ თანამშრომლები? მიიპატიჟეს სტუმრები სუფრასთან, დირექტორმა გვერდზე გაიხმო ზურაბი და ეუბნება: „ჩემო ზურაბ შენ უნდა წაიყვანო სუფრა, აბა შენ იცი.“ ახლადდანიშნული თამადა გაიქაჩა: „არა გიორგიჩ სად შემიძლია, გიორგაძეს სთხოვეთ ახალგაზრდა კაცია, მე ბევრს ვერ დავლევო, ეს კი თქვა ყასიდად, მაგრამ გულში მღეროდა უკვე, როგორ მაფასებენო ყველგან, ერთ-ორჯერ კიდევ იუარა ზრდილობისთვის, თან მისი ფეხით მიიწევდა მაგიდის თავისკენ. დაიწყო, მარა რა დაიწყო; ყანწიო, ფიალაო, ჭურიო, გიდელიო, ყველა სასმისს დახედა ფსკერზე, ხალხი ეხვეწება, მოუკელიო თამადა ბატონო. რაო? მე ჩემი გიორგიჩის იუბილეზე სათითეებით ვსვაო? დააბრიალა თვალები. არ დატოვა დირექტორის გვარში არავინ უდღეგრძელებელი, თინა მამიდას გაუმარჯოსო, თევდორე ბიძიასო, მგონი ზემოთხსენებულნი თვითონ იუბილარმაც არ იცოდა ვინ იყვნენ, თუმც დიდად ნასიამოვნები იხდიდა მადლობებს. მოკლედ ზურაბი ბოლომდე მედგრად იდგა, მიფანტ-მოფანტა ხალხი, დაემშვიდობა მასპინძელს და სიმღერ-სიმღერით გაუდგა გზას შინისკენ, ცოლს კი მალი-მალ ეუბნებოდა, ხომ ჩავყარეო ყველა საცივში. გაკაპასებული მეუღლე ყოველ ასეთ გამოსვლაზე, წყევლა-კრულვის კორიანტელით აჯილდოებდა.

ეს გუშინ, დღეს კი ეს „ლომივით“ კაცი „პახმელიით“ კვდება, მიქელას პატიებას სთხოვს, ჯერ ადრეაო ჩემთვისო, შვილები გზაზე უნდა დავაყენოო.

აპატიებს ვითომ? კარგი იქნება თუ აპატიებს, არაა ზურაბი ბოროტი გულის კაცი, უბრალოდ, ქართველია.

დათო ქუტიძე

გლობალური ბიზნესი


ავტორის შესახებ
2005 წლიდან დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის გამგე, სრული პროფესორი.
2005 წლიდან საქართველოს პარლამენტის მიერ აღიარებული საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.
1993-2005 წლებში - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.
2004-2005 წლები - ფინანსთა სამინისტროს, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაშრომებზე.
ეროვნული ბანკი
ეროვნული ბანკი
ეროვნული ბანკი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-09/162

11 აპრილი, 2011 წ

ქ. ბათუმი

სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მიმდინარე ფინანსური დავალიანების მქონე რსუ-ს სტუდენტთათვის რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 72-78-ე, 95-101-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ„ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის და 66–ე მუხლების, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2009 წლის 27 ოქტომბრის №125 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის„, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ„ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ივლისის №66 დადგენილების, ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ„ რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, რსუ–ს რექტორის 2011 წლის 1 აპრილის №01-09/153 ბრძანების, რსუ-ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2011 წლის 9 აპრილის მდგომარეობით სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მიმდინარე ფინანსური დავალიანების მქონე რსუ-ს სტუდენტებს **(დანართი №1)** შეუჩერდეთ რსუ-ს სტუდენტის სტატუსი.
2. სტატუსშეჩერებულ პირებს განემარტოთ, რომ:

   ა) ,,რსუ–ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით„ დადგენილ ვადებში ფინანსური დავალიანების გადახდისა და სასწავლო პროცესში ჩართვის შემთხვევაში ისინი ვალდებულნი არიან გადაიხადონ აღდგენის დროისათვის მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოქმედი სწავლის საფასური (ტარიფი);

   ბ) სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა სტატუსის შეჩერების შემდგომ პერიოდში არ წარმოშობს რსუ–ს მხრიდან სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების საფუძველს;
3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს რსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე. ასევე განთავსდეს რსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს რსუ–ს გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი„.
4. ბრძანების სტუდენტთა პირად საქმეებში განთავსება დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი
ა. ბაკურიძე

1.67	მიმდინარე	წინა	
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი			
მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი			
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი			
2008-2009 სასწავლო წელი			
ავალიანი ნათია 23	500	0	500
ბერიძე ცეზარ 40	500	0	500
ინაიშვილი ნინო 27	500	0	500
მჟავანაძე მირანდა 24	500	0	500
ჩოლობარგია აზა 10	300	0	300
ცისკარიძე ზაზა 13-59	500	0	500
2009 -2010 სასწავლო წელი			
ბუქიძე დავით 57-35	1	0	1
სურმანიძე მირზა 21	500	0	500
შაქარიშვილი ბერდია 25	500	0	500
2010 -2011 სასწავლო წელი			
ბარამიძე ნინო 07	300	0	300
გოგიტიძე ინდირა 18	750	0	750
გოგუაძე გიორგი 21	750	0	750
ირემაძე რომან 53	625	0	625
კოჩალიძე მზიგული 33	750	0	750
სურმანიძე გიორგი 38	750	750	1500
ჭელიძე ემზარ 48	750	750	1500
ჯინჭარაძე გიორგი 51	500	0	500
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა			
2 0 0 7 წელს ჩარისხული			
გაბაიძე ზაზა 36	500	0	500
დიასამიძე გენრიხ	475	0	475
დუმბაძე გიორგი	574	0	574
დობორჯგინიძე სალომე 23	410	0	410
თოფურია თეონა 29	750	0	750
კომპიუტერული ტექნოლოგიები			
2 0 0 7 წელს ჩარისხული			
საფაკულტეტო 2008-2009 სასწავლო წელი			
მიქელაძე ომარ 43	750	0	750
საფაკულტეტო 2009-2010 სასწავლო წელი			
მჟავია ირინე 49	750	0	750
საფაკულტეტო 2010-2011 სასწავლო წელი			
კაკაბაძე მაია 16	1000	0	1000
მალანია ზვიად 19	1000	0	1000
მიქელაძე ირაკლი 47-45	42	0	42
ოსმან იურუინ 38	1716,9	0	1716,9
ფუტკარაძე ნანა 27	1000	0	1000
ხუციშვილი თალიკო 71-49	1000	0	1000
მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა			
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
აბუსერიძე ლაშა 12	562,5	0	562,5
დოქტორანტურა			
საინფორმაციო ტექნოლოგიები			

2 0 0 8 წელი			
თხილაიშვილი რიმა	1000	0	1000
კახიანი გრიგოლ	1000	0	1000
2 0 0 9 წელი			
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი			
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი			
2008-2009 სასწავლო წელი			
შავაძე ქრისტინა 35	521	0	521
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
სამართალმცოდნეობა			
2 0 0 7 წელს ჩარიცხული			
მესხიძე ზურაბ 18	375	0	375
ყიფიანი არჩილ 62	225	0	225
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
ბაკაშვილი გიორგი 262	237,5	0	237,5
გაბაიძე მარიკა 31	225	0	225
გულაბერიძე არჩილ 273	625	0	625
დიასამიძე უჩა 258	150	0	150
მღებრიშვილი ნუგარ 78	375	0	375
სურმანიძე დავით 259	137,5	0	137,5
შენგელია მარიკა 169	750	0	750
2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
აბულაძე ილონა 04	612,5	0	612,5
გიორგაძე ანა 381	875	0	875
გოგიტიძე ელზა 53	875	0	875
გუჯაბიძე მაკა 63	475	0	475
მჟავანაძე ლელა 163	875	0	875
პატარიძე ოთარ 291	650	0	650
ქაცანაშვილი სოფიკო 216	875	0	875
შარაძე ირაკლი 95-299	875	0	875
ცეცხლაძე აკაკი 242	850	0	850
ხოფერია სალომე 362	875	0	875
ჯავახიშვილი უჩა 278	610	0	610
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
დოლიძე გივი 101	1125	0	1125
მალანია ამირანი 177	775	0	775
მეგენეიშვილი ქეთევან 189	1125	0	1125
მირგატია მონიკა 193	1125	0	1125
ნაცვლიშვილი თეონა 339	1125	0	1125
ულენტი მიხეილ 214	1125	0	1125
სარიშვილი თამთა 223	1125	0	1125
ტაკიძე ქეთევან 236	1125	1125	2250
ქათამაძე ანრი 256	375	0	375
ყურაშვილი ნათია 271	1125	0	1125
ხმალაძე აჩიკო 341	1125	0	1125
ფინანსები და საბანკო საქმე			
2 0 0 7 წელს ჩარიცხული			
დევაძე სოფიო 57	750	0	750
საგინაძე მანანა 66	375	0	375

ფილიპცოვა ილონა 29	375	0	375
ჩავლეიშვილი ნათია 81	450	0	450
ჩიტაძე ლამარა 40	525	0	525
2008 წელს ჩარიცხული			
გოგმაჩაძე თამუნა 201	750	0	750
გოგოლაშვილი მარიამ 189	410	0	410
გორგილაძე ცირა 198	750	0	750
ზოიძე შორენა 199	370	0	370
მახარაძე მაკა 275	538	0	538
ნაკაშიძე ჰამლეტ 267	675	0	675
სურმანიძე ელენა 102	225	0	225
შარაშიძე ლაშა 192	525	0	525
ცეცხლაძე ზაზა 175	650	0	650
2009 წელს ჩარიცხული			
კიკორია თეონა 123	875	0	875
მამულაძე მირიან 143	2	0	2
2010 წელს ჩარიცხული			
გობაძე მინდია 21-343	1 125	0	1 125
გიორგაძე მამუკა 49-342	250	0	250
ფუტკარაძე ნინო 253	1 125	1 125	2 250
საკანდელიძე ეთერი 219	1 125	0	1 125
უშვერიძე ვერიკო 243	1 125	0	1 125
საბურალტრო და საგადასახადო საქმე			
2008 წელს ჩარიცხული			
აბუსელიძე ირმა 34	375	0	375
მსხალაძე ნათია 160	750	0	750
შამილაძე ნინო 276-264	750	0	750
ჩხაიძე თინათინ 268	750	0	750
ჯაიანი არჩილ 61	375	0	375
2009 წელს ჩარიცხული			
აბაშიძე დავით 01	612,5	0	612,5
2010 წელს ჩარიცხული			
ბეჟანიძე დათო 23	1125	0	1125
მიქელაძე ელიზბარ 196	375	0	375
ფოთელიძე ბაჩანა 92--345	1125	0	1125
მეძმარიაშვილი ნინო 192	1100	0	1100
მენეჯმენტი და ადმინისტრირება			
2008 წელს ჩარიცხული			
დოლიძე მირანდა 149	750	0	750
2009 წელს ჩარიცხული			
ნემსაძე ანნა 399	25	0	25
ცეცხლაძე ზეინაბ 243	575	0	575
2010 წელს ჩარიცხული			
გოგიავა რუსუდან 63	785	0	785
დიასამიძე გიორგი 95	1125	0	1125
საერთაორისო ურთიერთობები			
2010 წელს ჩარიცხული			
გვილია გიორგი 60	1 125	0	1 125
ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა			
2010 წელს ჩარიცხული			
გოგუაძე თეონა 75	485	0	485
კონცელიძე ლენა 331	1918,8	0	1918,8
ჟურნალისტიკა			
2007 წელს ჩარიცხული			
ცენტერაძე ირმა 41	750	0	750
2008 წელს ჩარიცხული			
ფსიქოლოგია			
2009 წელს ჩარიცხული			
ნაჭყებია ირაკლი 172	612,5	0	612,5
საფაკულტეტო 2010-2011 სასწავლო წელი			
მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა			
ფინანსები და საბანკო საქმე			
2009- 02 წელს ჩარიცხული			
თავართქილაძე ირაკლი 53-27	1250	250	1500
2010 წელს ჩარიცხული			
ამირხანიან ლადიკ 05	250	0	250
ხუჯაძე გიორგი 15	1250	0	1250
საერთაშორისო ურთიერთობები			
2009 - 02 წელს ჩარიცხული			
ხოზრევანიძე ლაშა 09	1125	0	1125
ბიზნესის ადმინისტრირება			
2010 წელს ჩარიცხული			
დინდარი ილქერ	2202,5	1698,1	3900,6
სისხლის სამართალი			
2009 - 02 წელს ჩარიცხული			
კოხრეიძე ბესიკ 10	1 250	0	1 250
ორდენიძე ნათია 18	1 250	0	1 250
ცანავა ცოტნე 26	1 250	0	1 250
2010 წელს ჩარიცხული			
დევაძე ნინო 02	1 250	0	1 250
თურმანიძე გვანცა 05	1 250	0	1 250
კონცელიძე არჩილ 03	1 250	0	1 250
მოდებაძე ლანა 01	1 250	0	1 250
კერძო სამართალი			
2010 წელს ჩარიცხული			
ფალავანდიშვილი ლაშა 05	1 250	0	1 250
საერთაშორისო ბიზნესი			
2009 - 02 წელს ჩარიცხული			
სტამბოლიშვილი ნინო 07	1250	0	1250
ფაღავა დავით 12-15	1250	0	1250
2010 წელს ჩარიცხული			
მარკეტინგი			
2010 წელს ჩარიცხული			
ჯიჯავაძე ზურაბ 03	1000	0	1000
ბიზნესის კომუნიკაციის მენეჯმენტი			
2010 წელს ჩარიცხული			
ჯგერენაია ხატია 14	1000	0	1000
საერთაშორისო ფინანსები			
2010 წელს ჩარიცხული			
თურმანიძე თამილა 01	1 250	0	1 250

დოქტორანტურა			
2008 წელი			
ცეცხლაძე ლეილა	400	0	400
ცინარიძე რამინ	1000	0	1000
ტურიზმის ფაკულტეტი			
ბაკალაბრიატი			
2009 წელს ჩარიცხული			
თურმანიძე ნანა 32-342	875	0	875
საფარიძე მამუკა 09-391	642	0	642
2010 წელს ჩარიცხული			
მაგისტრატურა			
2010 წელს ჩარიცხული			
ბერიძე ზაირა 02	1250	0	1250
მუთიძე ინგა 03	1250	0	1250
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი			
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
ბიოლოგია			
2007 წელს ჩარისხული			
დარჩიძე მაია 10	500	0	500
კაკალაძე მუხრან 43	750	0	750
ფუტკარაძე დარიკო 58-55	250	0	250
2009 წელს ჩარისხული			
ასლანიძე ნათია 10	750	0	750
თარქან იურდაქულ 121	7	0	7
ვარშანიძე ინდირა 41	750	0	750
ცისკარაძე ნინო 107	750	0	750
ეკოლოგია			
2008 წელს ჩარიცხული			
კვაშილავა ნიკა 23-148	150	0	150
ქიმია			
2009 წელს ჩარიცხული			
ირემაძე ვარა 51	750	0	750
ფიზიკური გეოგრაფია			
2008 წელს ჩარიცხული			
ლელაძე ზურაბ 07	750	0	750
2009 წელს ჩარიცხული			
ფ ი ზ ი კ ა			
2007 წელს ჩარიცხული			
თურმანიძე რევაზ 56	25	0	25
2008 წელს ჩარიცხული			
აბაშიძე მარად 111	450	0	450
2009 წელს ჩარიცხული			
საფაკულტეტო 2010-2011 სასწავლო წელი			
ბაჯელიძე ლელა 02	1000	1000	2000
გელაძე მაია 05	1000	1000	2000
თავდიშვილი თორნიკე 09	1000	0	1000
კეთილაძე ლიკა 10	500	0	500
დოქტორანტურა			
2009 - 02 წელი			
ქედელიძე ნინო	1 000	0	1 000
ქამადაძე დალი	1 000	0	1 000
ცქვიტინიძე სოფიკო	1 000	0	1 000
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი			
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი			
2008-2009 სასწავლო წელი			
დავითაძე დარიკო 06	625	0	625
ინაიშვილი დავით 25	625	0	625
ტატოსიანი დიანა 31	625	0	625
შუბითიძე ნაზი 29	625	0	625
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
ქართული ენა და ლიტერატურა			
2007 წელს ჩარიცხული			
ახობაძე ნათია 01	750	0	750
ადამია მაია 77	575	0	575
ბერიძე გოგოლა 79	750	75	825
ბერიძე მალხაზ 67	400	0	400
გოგიტიძე მირანდა 82	725	0	725
დევაძე ლუიზა 80	550	0	550
ვეტრიაკოვა თინათინ 51	750	0	750
კალანდარიშვილი მარიამ 17	400	0	400
შავაძე ია 171-74	250	0	250
2008 წელს ჩარიცხული			
ბახტაძე ნინო 188	740	0	740
დავითაძე თამილა 172	750	0	750
მეხეშიძე ზეინაბ 231	750	0	750
მიქელაძე მურთაზ 224	750	0	750
ფაღავა ნათელა 193	750	0	750
ხასია ნანა 129	525	0	525
რუსული ენა და ლიტერატურა			
2007 წელს ჩარიცხული			
დიასამიძე რუსუდან 58	400	0	400
2008 წელს ჩარიცხული			
მახარაძე მინდია 128	500	0	500
ინგლისური ენა და ლიტერატურა			
2007 წელს ჩარიცხული			
ნიქაბაძე მედეა 26	750	0	750
ნოღაიდელი მარიამ 27	750	0	750
სილკინა ნინა 246-73	750	0	750
2008 წელს ჩარიცხული			
ლომაძე ქეთევან 215	750	0	750
სიხარულიძე თამთა 80	750	0	750
ღლონტი ანა 185	750	0	750
ძინძიბაძე ელენე 14	375	0	375
გერმანული ენა და ლიტერატურა			
2008 წელს ჩარიცხული			
გორგაძე შურა 57	250	0	250
ფრანგული ენა და ლიტერატურა			
2008 წელს ჩარიცხული			
ისტორია			
2007 წელს ჩარიცხული			

ფარტენაძე ზვიად 71	750	0	750
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
მელუა მერი 238	750	0	750
თურქეთის ისტორია			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
კირიჩენკო ტატიანა 194	600	0	600
ფილოსოფია			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
ვაშაკიძე მინდია 17	225	0	225
თავართქილაძე ზეინაბ 152	750	0	750
ჟღენტი ჯავანი 74	750	0	750
საფაკულტეტო 2009-2010 სასწავლო წელი			
აბაშიძე ნინო 02	750	0	750
აბულაძე მალვინა 04	750	0	750
აბულაძე ხატია 05	750	0	750
აკოფიანი თამუნა 06	750	0	750
ბალიაშვილი მაია 11	750	0	750
გუნდაძე მარიამ 46	750	0	750
ვარშანიძე თამთა 72	750	0	750
თაგაური გვანცა 81	750	0	750
თავრთქილაძე ლალი 83	750	0	750
თურმანიძე მედეა 88	50	0	50
მარიხაშვილი შორენა 113	750	0	750
ფუტკარაძე მარინა 166	750	0	750
ქათამაძე მარიამ 168	750	0	750
ჩაუჟბა მარიანა 125-235	175	0	175
ცინცაძე ბესიკ 69-215	750	0	750
ცინაძე ნინო 184	750	0	750
საფაკულტეტო 2010-2011 სასწავლო წელი			
ანანიძე მარიამ 06	1000	0	1000
ბარამიძე თეონა 14	1000	0	1000
ბაუჟაძე ნატო 16	1000	0	1000
ბოლქვაძე მირანდა 27	1000	1000	2000
გოგრაჭაძე ზვიად 40	1000	1000	2000
ენდელაძე ნატო 71	1000	0	1000
ერემაშვილი თეონა 72	1000	0	1000
ვანიძე სალომე 74	1000	0	1000
თურმანიძე ქეთევან 89	1000	0	1000
მკურნალიძე ქრისტინა 134	1000	0	1000
ოქროპირიძე ნათია 145	750	0	750
სანიკიძე იაგო 156	5	0	5
ფერაძე მარიამი 177	1000	0	1000
ფერსელიძე ირაკლი 179	1000	0	1000
ფუტკარაძე ლიზა 182	200	0	200
ქათამაძე ლელა 191	1000	0	1000
ქათამაძე ქეთევან 195	1000	1000	2000
ქარცივაძე მაგდა 198	1000	0	1000
ჩიქოვანი ნატო 216	1000	0	1000
მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა			
ინგლისური ფილოლოგია			
2 0 0 9 - 0 2 წელს ჩარიცხული			
მახარაძე ნათია 09	1125	0	1125
რუსული ენა კულტურათაშირისო კომუნიკაცია			
2 0 0 9- 0 2 წელს ჩარიცხული			
ბერიძე მანანა 01	700	0	700
საქართველოს ისტორია			
2 0 0 9 - 0 2 წელს ჩარიცხული			
დოქტორანტურა			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
აბაშიძე მედეა	1 000	0	1 000
დიასამიძე ლეილა	1 000	0	1 000
მსახურაძე ნანა	1 000	0	1 000
კოპალეიშვილი ტატიანა	1 000	0	1 000
2 0 0 9 - 0 1 წელი			
კეჟერაძე თეიმურაზ	1 000	0	1 000
2 0 0 9 - 0 2 წელი			
აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი			
2010-2011 სასწავლო წელი			
ბაბუჩაიშვილი გია 01	300	0	300
დიასამიძე ზებურ 07	750	0	750
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
აგროეკოლოგია 2007 წელი			
ბრუნჯაძე თამარ 01	750	0	750
საფაკულტეტო 2008-2009 სასწავლო წელი			
აბულაძე ნუკრი 46	60	0	60
საფაკულტეტო 2009-2010 სასწავლო წელი			
ბორზენკოვა ილონა 10	750	0	750
ლორთქიფანიძე დავით 43	30	0	30
სურმანიძე გიორგი 60	750	0	750
ცინცაძე მირზა 71	750	0	750
განათლების ფაკულტეტი			
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა			
2 0 0 7 წელს ჩარიცხული			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
გურგენიძე სალომე 21	750	0	750
კაკაბაძე თეონა 06-32	750	0	750

2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
ბერიძე ნინო 07	750	0	750
გიორგაძე რუსუდან 12	9	0	9
გუგუნავა თამარ 15	750	0	750
დათუნაშვილი ქეთევან 17	550	0	550
დიასამიძე თინათინ 20	750	0	750
დიასამიძე მელანო 21	750	0	750
ვაშაყმაძე დარიკო 22	550	0	550
კაციტაძე ნინო 24	750	0	750
კონცელიძე ხატია 26	750	0	750
მარშანიშვილი თეონა 29	750	0	750
რომანაძე მარინე 01-58	400	0	400
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა			
პედაგოგიკა-საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებელი			
2 0 0 9 - 0 2 წელს ჩარიცხული			
აბაშიძე დარინა 01	1 050	0	1 050
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
დოქტორანტურა			
2 0 0 8 წელი			
ხალვაში ხათუნა	1000	0	1000
2 0 0 9 წელი			
დიასამიძე ასმათ	1000	0	1000
ქათამაძე ხათუნა	1000	0	1000
საინჟინრო ტექნოლიგიური ფაკულტეტი			
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი			
2009-2010 სასწავლო წელი			
ბოლქვაძე თენგიზ 02	500	0	500
ფარტენაძე თეონა 38-17	500	0	500
2010-2011 სასწავლო წელი			
გოგიტაური გიორგი 05	750	0	750
დავითაძე თორნიკე 06	750	50	800
ქათამაძე რუსლან 13-22	250	0	250
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა			
2 0 0 7 წელს ჩარიცხული			
მახათაძე ანა 11	750	0	750
საითაძე გურამ 07	750	0	750
ღლონტი გურამ 09	600	0	600
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
გაბაიძე ზაზა 94	400	0	400
2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
სურმანიძე მინდია 70	750	0	750
ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია			
2 0 0 7 წელს ჩარიცხული			
ფუტკარაძე სულხან 72	225	0	225
გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
ჯინჭარაძე ირაკლი 58	750	0	750
საფაკულტეტო 2010-2011 სასწავლო წელი			
ჯანდაცვის ფაკულტეტი			
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი			
2008-2009 სასწავლო წელი			
გელაშვილი მადონა 17	600	0	600
გელაძე როზან 24	400	0	400
ლომჯარია ეკა 04	330	0	330
2010-2011 სასწავლო წელი			
გორგაძე ლია 07	50	0	50
დავითაძე ქეთინო 10	750	750	1500
მახარაძე ნატალია 20	750	750	1500
შერვაშიძე ირმა 30	450	0	450
ჯინჭარაძე სოფიკო 35	750	0	750
ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი			
სამკურნალო საქმე			
2 0 0 6 წელს ჩარიცხული			
2 0 0 8 წელს ჩარიცხული			
ხარაბაძე როლანდი 55	50	0	50
2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
არაბული ლუკა 01	1 125	0	1 125
ბოლქვაძე ირაკლი 06	1 125	0	1 125
გიორგაძე თეონა 10	1 125	0	1 125
დავითაძე ნინო 20	1 125	0	1 125
სულაბერიძე ქეთევან 89	125	0	125
ფხაკაძე თამარ 45	55	0	55
ჩიკვაიძე ირმა 76-65	1 125	125	1 250
ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი ა			
2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
რამიშვილი ნინო 57	1 000	0	1 000
რომანაძე იონა 112	1 000	0	1 000
ფარმაცია			
2 0 0 9 წელს ჩარიცხული			
როყვა გიორგი 106	150	0	150
ღლონრი ეკა 108	1 000	0	1 000
2 0 1 0 წელს ჩარიცხული			
ნადირაძე ბეჟანი 36	17,5	0	17,5
უმეთაძე იამზე 66	1 125	0	1 125

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „პრეპრინტში“
(832) 93-46-14, 99-98-82
მის: ქ.თბილისი
რუსთაველის 40-40ა